საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 19 აგვისტო, 2014 წელი.

№165 (7546)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

კაზანტიპი - მარტო ფულისთვის თუ... სულისთვისაც?!

საპატრიარქოს დიდი პროტესტის მიუხედავად, ელექტრონული მუსიკის ფესტივალი ხვალ სეზონს გახსნის. დღეს როცა ანაკლიის „კაზანტიპის რესპუბლიკაში“ ორგანიზატორები გარყვნილების გენერალურ რეპეტიციას გაივლიან, ზუგდიდის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში წმინდა მარიამის კვართს დააბრძანებენ და ათასობით მორწმუნე ამ სიწმინდეს მოილოცავს. მართალია, სასულიერო პირებმა „რესპუბლიკის“ ტერიტორიის კურთხევა ვერ მოახერხეს, მაგრამ, ალბათ, უფალი საქართველოს არ გაწირავს... ისე კი, წარწყმედას და უბედურებას გვიწინასწარმეტყველებენ.

2

◎ დღის ამფრაზურიდან

გურამ ფირცხალავა:

სააკაშვილი ახლა ამაყად აცხადებს, რომ უცხოელი დიპლომატებისთვის საჩუქრებს ყიდულობდა. ამას, ბატონებო, დიპლომატისთვის ქრთამის შეთავაზება ჰქვია! კი ვამბობდი, ვერ არის სააკაშვილი ნორმალური, მაგრამ ასეთი თუ იყო, არ მეგონა. არავითარი ნორმის ფარგლებში არ ჯდება მასაჟების თუ ბოტოქსების გაკეთება ქვეყნის ყვლეფის ხარჯზე. ესენი ქონებს იგროვებდნენ და მათი გასახდომი პროცედურებისთვის ფულს ჩვენ ვიხდიდით! ეს იყო მარაზმი. მიშამ მარაზმის გაკვეთილები ჩაგვიტარა.

ალექსანდრე თვალჭრელიძე:

ქართულ ეკონომიკას სძინავს?!

3

იმისთვის, რომ საქართველოს ეკონომიკა ფეხზე დადგეს, აუცილებელია მწარმოებლური ეკონომიკის ამუშავება, რომელიც ადგილობრივ რესურსებზე იქნება დაფუძნებული.

დავით მხეიძე:

რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო არ გვქონდა, მაგრამ გვქონდა სამშობლო...

ქამი არს, მტერი მამულის მივცეთ მახვილსა ლესულსა!

4

უგულავა ქალაქ-მშენებლობას ცისიდან უძღვება?!

5

კრება დარჩა მხიარული...

ნინო მიქიაშვილი:

საყდრისთან ერთად იქვე მდებარე ტაძრებსა და თამარის დროინდელ წყაროსაც დავიცავთ

6

ედმონდ კალანდაძე დაგვემშვიდობა

9



ჭერში დაუნჯებული ფერადოვნება

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

კაზანტიპი – მარტო ფულისთვის თუ... სულისთვისაც?!

(პირველი გვერდიდან)

ვიკიპედიაში „კაზანტიპზე“ საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოიპოვება: Kazantip: კაზანტიპის რესპუბლიკა, ნარინჯისფერი რესპუბლიკა ან რესპუბლიკა Z ყოველწლიური ელექტრონული საცეკვაო მუსიკის ფესტივალია. იგი 1992 წლიდან 2013 წლის ჩათ-

ვლით უკრაინაში, ყირიმის ნახევარკუნძულზე იმართებოდა. დასასწრებ ბილეთს ეწოდება „viza“. ფესტივალი გრძელდება 5-6 კვირას და მას ყოველწლიურად 150 ათასი ადამიანი ე. წ. „paradizers“-ი სტუმრობს. ფესტივალთან არის ასოცირებული ნარინჯისფერებში გადაწყვეტილი მოდის და ჩემოდნების კულტი.

უნდა ითქვას, რომ თავიდან ფესტივალი ძალიან მოკრძალებული იყო. მისმა შემქმნელმა და ინიციატორმა ნიკიტა მარშუნოკმა თავდაპირველად სერფინგის მოყვარულთა ყრილობა ჩაატარა და მომქანცველი დღის შემდეგ საღამოობით დროს ატარებდნენ, თუმცა, მოგვიანებით ნიკიტამ გადაწყვიტა სეზონის დასასრულის აღსანიშნავად შეემატებინა ტექნო და ტრანს მუსიკა. სწორედ ამ დროს იშვა ფესტივალი თანამედროვე სახით.

ყირიმის პატარა ქალაქ პოპივკაში ჩატარებული ფესტივალზე უკრაინამ ყირიმი დაკარგა! – ასე ხსნიან მორწმუნეები ამ მოვლენას. თუმცა, იცოდნენ, თუ არა ამის შესახებ ანაკლიელებმა? ალბათ, მათთვის დაწვრილებითი ინფორმაცია ასეთი გულდასმით არავის მიუწოდებია, ხოლო ტურისტების სიმრავლე ძალიან მომხიბვლელი წინადადება აღმოჩნდა. ვისაც რა შეეძლო და როგორც, ისე მოაწყვეს „გესტ ჰაუსები“ და შემოსავლის მოლოდინში გაჩუმდნენ. თუ არ ჩავთვლით ტურიზმის დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელს გიორგი სიგუას, რომელიც ამ ფესტივალის აქტიური ლობისტი გახლდათ!

მაინც ვინ გადაწყვიტა ფესტივალის ჩატარება, რა დონეზე, რა ვითარებაში და რატომ? – კითხვებზე პასუხი „არავინ იცის“. მაგრამ „თავხედი და ზნედაცემული“ ნიკიტა მარშუნოკი, როგორც მას სასულიერო პირები მოიხსენიებენ, ირწმუნება, რომ ფესტივალზე შემაკავებელი „აღვირები“ იქნება. მუსიკა და მხოლოდ მუსიკა... არ იქნება ნარკოტიკი, არ იქნება სექსი, არ იქნება კრიმინალი... შინაგან საქმეთა სამინისტრომ თადარიგი უკვე დაიჭირა და ათასობით პოლიციელი რესპუბლიკის პერიმეტრს სრულად გააკონტროლებს.

არათუ ანაკლიაში, არამედ ზუგდიდშიც ცხოვრება გაძვირდა, ფასებმა მოიმატა გამაგრილებელ სასმელზე, სურსათზე.. სხვათა შორის, რატომღაც მეგონა, რომ სოფელი ანაკლია, რომელიც აქამდე ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკებით იყო ცნობილი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდებოდა, როგორც საპორტო ცენტრი, ან საქართველოს რუკაზე მყარად მოინიშნებოდა მის მახლობლად გაშენებულ ქალაქ „ლაზიკას“ გვერდით, მაგრამ „კაზანტიპის რესპუბლიკის“ მასპინძელი თუ იქნებოდა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი...

პიარი დიდი იყო. შავმა თუ თეთრმა პიარმა თავისი საქმე გააკეთა და დღეს მთელი საქართველოს ცნობისმოყვარეობა ანაკლიისკენ არის მიმართული...

საპატრიარქოს მოწოდებამ, ალბათ, თავისი წილი გასაკეთებელი მაინც გააკეთა, ხელისუფლება – დუმს, პოლიციელებს საკმაოდ დატვირთული სამუშაო ელოდება. ახალგაზრდების დიდი ნაწილი უკვე დაიძრა სამეგრელოსკენ, ტურისტების უმრავლესობა ჩამოსული და დაბინავებულია.

ანაკლიის მოსახლეობას ფინანსური სარგო აინტერესებს, რამდენს შეჰმატებს ფესტივალი მათი ოჯახებისა თუ ქალაქის ბიუჯეტს. რაც შეეხება „კაზანტიპის“ მორალურ ასპექტებს: ადგილობრივებს თაკარა მზისა და ზღვის ფონზე არც მუსიკა უკვირთ, არც გართობა და, ალბათ, არც გამორჩეული სიშიშვლე...

დღეს ხომ ლამის მთელი მსოფლიო „შეშლილი და შიშველია“...

თეა მოსია,
ზუგდიდი – ანაკლია – განმუხური

◎ კაკალ გულში

ნეტავ, ის უცხოელები მაჩვენა, ნუგზარ წიკლაურს რომ ელაპარაკებიან...

● ნამდვილად არ მესმის:
1. გძულს დავით ბაქრაძე და მოგწონს დავით უსუფაშვილი;
2. გძულს გიგა ბოკერია და მოგწონს ლევან ბერძენიშვილი;
3. გძულს გიგი წერეთელი და მოგწონს ზაქარია ქუცნაშვილი;
4. გძულს ხათუნა გოგორიშვილი და მოგწონს ირინა იმერლიშვილი;
5. გძულს მიშა მაჭავარიანი და მოგწონს ზვიად ძიძიგური;
6. გძულს თეა თუთბერიძე და მოგწონს ეკა გიგაური...
არ მესმის!!!
ალბათ ვერც გავიგებ!

წერტილოვანი ფრაზები

● იკა და გიო, ნუ ჩხუბობთ, ისედაც ცოტანი ვართ ქართველები .

● ეპილაციის თემაზე ახალ კომენტარს ველოდები, ვკვდები ისე მაინტერესებს ბანჯგვლს და აფხაზეთს როგორ დაუკავშირებს ერთმანეთს.

● „საქართველოს პრეზიდენტს ვერავინ ვერ ეტყვის, კანონით დაგეგმილ ვადაში 5 წუთი იფიქროს თუ მეტი, იმ საკითხებზე, რომლებიც მის კომპეტენციაში შედის.“ – მესამე პირში ასაუბრდა კაცი, რომელსაც „ვერავინ ვერ ეტყვის...“

● დილიდან რომ კამას არჩევ ადამიანი, მაგ საქმიანობას ჰქვია კამა სუტრა?

● საზღვარგარეთ, სახელმწიფოებრივ საქმეებზე დავდიოდიო, – წიკლაურმა.

ეს ხომ ნანახი მყავს და ნეტავ ის უცხოელები მაჩვენა, წიკლაურს რომ სახელმწიფოებრივ საქმეებზე ესაუბრებიან.

● გიჟი ეძახეთ და ვერ მკურნალობდა თავის „იმას“ ჩვენი ფულებით?

● ერთი რაიმე მინდა ვთქვა

ძალიან ბევრი საუბრობს იმაზე, რომ მიშასთვის 8 მილიონის გაფლანგვის წაყენება ბრალად, ზღვაში წვეთია!

კი, ბატონო, მეც მასე ვფიქრობ, მაგრამ რასაც უმტკიცებენ, იმაზე უყენებენ ბრალს. ალ კაპონე გადასახადების გადაუხდელობის გამო გაასამართლეს, თუმცა მთელმა ჩიკაგომ იცოდა, მის მიერ ჩადენილი უამრავი მკვლელობის თუ სხვა უფრო მძიმე დანაშაულების შესახებ, ვიდრე გადასახადების გადაუხდელობაა!

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია და ჩემთვის, აბსოლუტურად სულერთია (ეჭვი მაქვს, მიშასთვისაც), თუ რაზე მოიხდის 30 წელს საკაშვილი!

ახლახანს გაირკვა, რომ 400 000 ლარამდე კოსმეტიკური პროცედურებისთვის დაუხარჯავს!

მონიკა ბელუჩად უნდოდა გადაქცევა მაგ უჯიშოს?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ინფორმაცია

დეფიციტურ საექიმო სპეციალობებს ჯანდაცვის სამინისტრო დააფინანსებს

ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა.

როგორც ინტერვიუში მინისტრმა აღნიშნა, სექტემბრიდან დაიწყება ახალი პროექტი „პოსტდიპლომური განათლების დაფინანსება“.

„ვთქვათ, სტუდენტმა დაამთავრა სამედიცინო სასწავლებელი და დიპლომისშემდგომი განათლება აქვს მისაღები, მაგრამ ფული არ აქვს. ამ შემთხვევაში სახელმწიფო გადაუხდის, ოღონდ იმ პირობით, რომ სამი წლით რაიონში წავა სამუშაოდ“, – აღნიშნა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა.

სასწავლო წელი ზამთრის არდადეგების ხარჯზე გახანგრძლივდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების პერსპექტივები წარადგინა. ამასთან დაკავშირებით სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ კონფერენცია გაიმართა.

როგორც კონფერენციის დაწყებამდე ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ განაცხადა, ეროვნული სასწავლო განვითარების გეგმა ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია ზოგადი განათლების ნაწილში. მისივე თქმით, ჩატარდა შედარებითი ანალიზი სხვა ქვეყნების ეროვნულ გეგმებთან მიმართებაში.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, 2013 წელს პირველად დაიწყო მონიტორინგი სკოლებში, რომელიც აკვირდებოდა, თუ როგორ ინერგებოდა სასწავლო გეგმა, აქედან გამომდინარე დაინერგა ცვლილებები.

მინისტრის განმარტებით, დაგეგმილი ცვლილებები ეხება სხვადასხვა სერვისებს, რომლებიც სკოლებში მიმდინარეობს.

„მაგალითად, გახანგრძლივდა სასწავლო წელი ძირითადად ზამთრის არდადეგების ხარჯზე. სასწავლო წელი გახდა 36-კვირიანი. იგი უკვე შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტთან. ასევე დაიხვეწა დამრიგებლის საათის შინაარსი. დაწყებით საფეხურზე პირველ პლანზე წამოიწია წაკითხულის შინაარსის გააზრებამ, ანალიტიკურმა აზროვნებამ. საერთაშორისო კვლევებმა ამ კონკრეტული მიმართულებით ჩავარდნები აჩვენა, ამიტომ ჩვენ ვიწყებთ დაბალი კლასებიდან. შემდეგ საბაზო საფეხურზე ასეთი დამატებითი საათები დაეთმობა პროფორიენტაციას და კარიერის დაგეგმვას“.

საჩხერეში გაზი გაძვირდა

საჩხერეში მსხვილ მომხმარებლებს ბუნებრივი აირის საფასური გაუძვირდათ. შესაბამისი დადგენილება საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ 14 აგვისტოს სხდომაზე , შესაბამისი კომპანიის „საჩხერეგაზის“ განცხადების საფუძველზე მიიღო.

როგორც კომპანიის დირექტორმა ზაზა ზაბახიძემ განაცხადა, ტარიფი მხოლოდ მსხვილი მომხმარებლებისთვის გაიზარდა, რიგითი აბონენტებისთვის კი ის უცვლელი – 37,822 დარჩა (დღგ-ის ჩათვლით 44 თეთრი). მისივე განმარტებით, ახალი ტარიფი 1 სექტემბრიდან ამოქმედდება.

კომპანიის ხელმძღვანელის განმარტებით, ტარიფის ცვლილება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა.

„მიზეზები ხანგრძლივი სასაუბრო თემაა, თუმცა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის, რომ საჩხერეგაზის საწესდებო კაპიტალი 2006 წლიდან დღემდე გაიზარდა 5-ჯერ. ამას, შესაბამისად, მიება სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორი, როგორიცაა ქონების გადასახადი და სხვა საექსპლუატაციო ხარჯები, რამაც გამოიწვია ეს ცვლილება“, – აღნიშნა მან.

ქუთაისში რეაბილიტირებული საავტომობილო გზა გაიხსნა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან აცნობეს, იმერეთის რეგიონში, ქუთაისი-საფიჩხია-ჭოგნარის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დასრულებულია.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნული საავტომობილო გზის მონაკვეთი 25 წელზე მეტია არ შეკეთებულა. ახალი რეაბილიტირებული 5-კილომეტრიანი მონაკვეთი 10-ზე მეტი სოფლის მოსახლეს ემსახურება, ასევე, გზა უკავშირდება ბაგრატის ტაძარსა და გელათის მონასტერს, ამიტომ ის ტურისტული დანიშნულების გზაც არის.

სახელმწიფო დაფინანსებით სარეაბილიტაციო სამუშაოები შპს „საქმილსადენმშენმა“ შეასრულა და მისმა ღირებულებამ 3 მილიონი ლარი შეადგინა. სამუშაოებზე 50-მდე ადგილობრივი მკვიდრი იყო დასაქმებული.

ხანძარი თბილისის შემოგარენში

გუშინ თბილისში, აღმაშენებლის ხეივნის ტერიტორიაზე ხანძრის შედეგად დაიწვა დაახლოებით ერთი ჰექტარი ტერიტორია, ძირითადად ბუჩქები და ბალახები.

„იყო საფრთხე, რომ ახლოს მდგომ შენობებზეც გადასულიყო ცეცხლი, მაგრამ 15 წუთში მოხერხდა ხანძრის ლოკალიზება. ხუთი ჯგუფი მუშაობდა ადგილზე. არავინ დაშავებულა. რაც შეეხება მიზეზებს, სავარაუდოდ, ხანძარი დაუდევრობამ გამოიწვია, თუმცა, ზუსტ მიზეზებს გამოძიება დაადგენს“, – აღნიშნა საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსმა თემურ გიორგაძემ.

ინტერპრესი

ქართულ ეკონომიკას სძინავს?!

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის პარამეტრებსა და საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსს, ეკონომიკის ექსპერტს ალექსანდრე თვალჭრელიძეს ესაუბრა.

— ბატონო ალექსანდრე, როგორ შეაფასებდით ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასა და ლარის კურსს? ოპონენტები ხელისუფლებას სავალუტო რეზერვების კლებას საყვედურობენ. ცხელი ზაფხული კია, მაგრამ იქნებ შევეცადოთ, გავუსინჯოთ პულსი ქართულ ეკონომიკას. . .

— ქვეყნის ეკონომიკა არაფრით განსხვავდება იმისგან, როგორიც იყო სამი თვის წინათ. არც შემდგომ სამ თვეში მოხდება რაიმე ისეთი, რომ წინა სამი თვის მდგომარეობასთან მიმართებაში განსხვავებებზე მოგვიწიოს საუბარი. ქართული ეკონომიკის მდგომარეობის შესაფასებლად ცუდი დრო შეარჩიეთ. აგვისტო მსოფლიო ეკონომიკაში მკვდარი სეზონია, ამ დროს განსაკუთრებული პრაქტიკულად არაფერი ხდება. განსხვავებას იმაში, რაც იყო ადრე და, რასაც ველოდებით შემოდგომაზე, მე პრაქტიკულად ვერაფერს ვხედავ. როგორც ვითარდებოდა ეკონომიკა ორი თვის წინ, ნელა, ლატენტურად, ისევე გაგრძელდება ახლაც.

ვერ ვიტყოდი, რომ ეს კარგია. იმისთვის, რომ ჩვენ ეკონომიკა განვავითაროთ, უფრო რადიკალური ზომები უნდა მივიღოთ სწრაფი ნახტომის გასაკეთებლად. უკვე 20 წელია, ამგვარი ნახტომი ქართულ ეკონომიკაში არ ხდება. ლარის კურსის მდგომარეობა ისეთივეა, როგორიც იყო, ანუ საგანგაშო და მნიშვნელოვანი ამ თვალსაზრისითაც არაფერი ხდება. რაც შეეხება დოლარის რეზერვების შემცირებას, აქაც საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. რეზერვები ხან იზრდება, ხანაც მცირდება. ის, რომ რეზერვები შემცირებულია, ესეც არაოფიციალური მონაცემებია.

მე მაქვს ყოველდღიური ინფორმაცია საქართველოს ბიუჯეტის მდგომარეობის შესახებ და უნდა ვთქვა, რომ აქაც საგანგაშო არაფერია. არავითარი კრიზისისკენ არ მივდივართ, მაგრამ სამწუხაროდ, არც სწრაფი განვითარებისკენ არ მივდივართ. მე ვიტყოდი ასე — ქართულ ეკონომიკას სძინავს.

— ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით რა მდგომარეობაა? აჭარის მთავრობის თავმჯდომარის არჩილ ხაბაძის განცხადებით, ბოლო 10 წელიწადში აჭარაში 1, 4 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. მართალია, მას არ დაუზუსტებია, ახალი ხელისუფლების პერიოდში რამდენი დაემატა ადრე ჩადებულ ინვესტიციებს, მაგრამ თქვენ თუ გაქვთ მონაცემები ქართულ ეკონომიკაში ინვესტიციებთან დაკავშირებით?

— რატომღაც, ჩვენ ყოველთვის ყურადღებას ვამახვილებთ უცხოურ ინვესტიციებზე, რაც სწორი არ არის. ინვესტიცია ინვესტიციაა, გინდ უცხოური იყოს, გინდ — ადგილობრივი. საერთოდ, ტერმინი ინვესტიცია, სხვადასხვა საქმეში კაპიტალურ დაბანდებას ნიშნავს. ნორმალური ეკონომიკური ენით ეს ნიშნავს კაპიტალურ ბაზარზე წასვლას და აქციების შეძენას. ინვესტორი არის ადამიანი, რომელიც იძენს აქციებს კაპიტალურ ბაზარზე. ჩვენთან კი ტერმინ „ინვესტიციაში“ გულისხმობენ ინვესტიციას ძირითად კაპიტალში. ამ სფეროშიც, დიდად სახარბიელოს ბევრს ვერაფერს ვხედავ.

მოგესხენებათ, შარშან შეიქმნა ეკონომიკური განვითარების 6 მილიარდიანი ფონდი. ერთი წელი გავიდა და დიდი პროექტების დაფინანსება არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ანაკლიის პორტს, რომლის ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებები მიდის, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი ქაღალდზეა. ეკონომიკაში რეალური ძვრები არ მომხდარა. რაც გაკეთდა, ეს გახლავთ სოფლის მეურნეობის რამდენიმე ათეული საწარმო. მეტი ჯერ არაფერი გაკეთებულა, თუ არ ჩავთვლით ისევ აჭარაში რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობებს.

— თუ გაქვთ ინფორმაცია დაპირებული 100 ქარხნის აშენებასთან დაკავშირებით? მახსოვს, წინა ინტერვიუში თქვენ საუბრობდით ქვეყანაში არსებული რესურსების გამოყენებით თანამედროვე საწარმოების აშენების პერსპექტივებზე. . .

— ჩემი აზრით, ამ საქმეში ქვეყნის უკვე მერამდენე ადმინისტრაცია ტრაგიკულ შეცდომას უშვებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ჩვენში სახელმწიფო მართვა და მენეჯმენტი გაიგივებულია. შესაძლოა, მენეჯმენტის თვალსაზრისით ზოგიერთი პროექტი მომგებიანი არ იყოს, მაგრამ სახელმწიფოს მხრივ მათი განვითარება აუცილებელია.

იმისთვის, რომ საქართველოს ეკონომიკა ფეხზე დადგეს, აუცილებელია მწარმოებლური ეკონომიკის ამუშავება, რომელიც ადგილობრივ რესურსებზე იქნება დაფუძნებული. თავის დროზე, ქვეყანა გამოირჩეოდა საფეიქრო მრეწველობით. თბილისის მაუდკომბინატი მთელ საბჭოთა ჯარს მატყლის საბნებით ამარაგებდა და წელიწადში 3 მილიონ საბანს აწარმობდა. ახლა იმ საწარმოში თეატრია გახსნილი. ანალოგიური საწარმოები იყო გორში, ქუთაისში, ხაშურში. ახლა ყველაფერი გაჩერებულია.

ასევე გაჩერებულია აგურის ქარხნები. არადა, საქართველოში საბჭოთა პერიოდში აგურის 58 ქარხანა მუშაობდა. საქართველო გამოირჩეოდა ბენტონიტის თიხით, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო იყო. ახლა ლიცენზია გაცემულია ბერძნებზე. მათ, პრაქტიკულად მოკლეს ასკანის საბადო და პაროსის კუნძულზე თავის ბენტონიტებს ამუშავებენ. ეს გახლავთ არასწორი სახელმწიფო მართვის შედეგი.

უნდა შეიქმნას გეოლოგიური სამსახური, შემუშავდეს საინვესტიციო, სამარკეტინგო პოლიტიკა. ჩვენ მინისტრებს მსოფლიოს საუკეთესო სამთო ფირმებთან კონტაქტიც კი არ აქვთ. ეს ყველაფერი არ გაკეთდება, თუკი არ იქნება შესაბამისი სახელმწიფო გადაწყვეტილებები და არ შემუშავდება სახელმწიფო მართვის შესაბამისი მექანიზმები. მეორე მხრივ, ეს უკავშირდება ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებს. მეწყერი, რომელიც ჩამოდის ხან დარიალის ხეობაში, ხან კიდევ რიკოთის უღელტეხილზე, ამას ყველაფერს მართვა და პროფესიული მიდგომები სჭირდება. ასეთ ვითარებაში, საერთოდ, ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ საქართველოში მწარმოებლური ეკონომიკა განვითარდება.

— დიდი ხმაური მოჰყვა 6000 დასახელების წამლის ურეცეპტოდ გაყიდვის აკრძალვასა და რეცეპტურის ახალ სისტემაზე გადასვლას. ასევე სასწრაფო გამოძახებაზე ახალი რეგულაციების შემოღებას. თქვენ როგორ აღიქვით ხელისუფლების ახალი ინიციატივები?

— მე სპეციალურად ჩამოვტვირთე იმ წამლების სია, რომელიც ურეცეპტოდ გაიყიდება და ძალიან დეტალურად გავანალიზე. ეს არის დაახლოებით ის, რა რეგულაციებიც არის ევროპაში. ანტიბიოტიკებისა და ფსიქოტროპული პრეპარატების ურეცეპტოდ შეძენა ნამდვილად არ შეიძლება. ასეთი რეგულაციები ქვეყანაში აუცილებლად უნდა შემოსულიყო. შესაძლოა, ისინი ახლა ძალიან ხისტია. ასეთ ვითარებაში არსებობს ალბათობა, რომ შეიქმნება „შავი ბაზარი“, დაახლოებით ისეთი, როცა საბჭოთა პერიოდში დეფიციტური წამლების შოვნა მხოლოდ ებრაელებში შეიძლებოდა.

იმისთვის, რომ საქართველოს ეკონომიკა ფეხზე დადგეს, აუცილებელია მწარმოებლური ეკონომიკის ამუშავება, რომელიც ადგილობრივ რესურსებზე იქნება დაფუძნებული.

მეორე მხრივ, ეს გამოიწვევს უზარმაზარ რიგებს ოჯახის ექიმთან. თავის ტკივილის წამლის შესაძენად მოგვიწევს ოჯახის ექიმთან რიგში ჩადგომა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ოჯახის ექიმების საქმიანობა ძირითადად რეცეპტების გამოწერას დასჭირდება და არა — ადამიანების მკურნალობას.

გასაგებია, რომ ხელისუფლებას სურს ევროპული რეგულაციების შემოღება ამ სფეროში, მაგრამ აშკარაა, რომ ყველაფერი გათვლილი არ არის. მთავრობის ინიციატივები აუცილებლად დასახვეწია და ალბათ იგი ნელ-ნელა დაიხვეწება კიდეც.

— პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ სახელმწიფო თანხების გაფლანგვის თაობაზე პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციაა და კიდევ ერთი ბრალის წაყენება ასევე ხმაურიანი მსჯელობის თემა გახლავთ. ამ საკითხს საკმაოდ ბევრი ასპექტი აქვს. თქვენ როგორ შეაფასებდით მომხდარს და რამდენად დიდია ალბათობა, რომ საქართველოს პროკურატურა ექს-პრეზიდენტ სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნას გამოაცხადებს?

— როგორც ჩანს, პროკურატურის მუშაობის კვალობაზე სააკაშვილს კიდევ არაერთ ბრალს წაუყენებენ. ჩემი აზრით, 9 წლის განმავლობაში მოხდა მიხეილ სააკაშვილის პიროვნების დეგრადაცია. ყველას გვახსოვს, რომ პირველად იგი საზღვარგარეთ ვიზიტისას, დავოსში ეკონომკლასით გაფრინდა. ყველა მგზავრთან ერთად გაიარა რეგისტრაცია, შემდეგ საკუთარი თვითმფრინავები დასჭირდა. როგორც ჩანს, სააკაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტი მიაჩნდა საკუთარ ტომარად, სადაც მას შეეძლო, ნებისმიერ დროს ხელის ჩაყოფა და განუკითხავად ფინანსების ხარჯვა.

ღიმილის მომგვრელია სააკაშვილის მტკიცება, რომ კორუმპირებული არ არის და კაპიკი ფული არ აქვს. იგი პრაქტიკულად არსად არ მუშაობს და საინტერესოა, რა ფულით ცხოვრობს უცხოეთში თითქმის ერთი წელი? მთელი ჩემი ცხოვრება საკმაოდ მაღალი ხელფასი მქონდა და საზღვარგარეთ რომ წავიდე, ერთ კვირაზე მეტს ჩემი ფინანსები არ მეყოფა. ისეთი პირი უჩანს, რომ ეს პროცესები ძალიან დიდხანს და მრავალი წელი გაგრძელდება და მას ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს.

— სააკაშვილის ხარჯებზე გრიფით „საიდუმლოს“ მოხსნის თემაზე, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილსა და პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს შორის სიტყვიერი დაპირისპირება, ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკად ყალიბდება და შესაბამისად, პრეზიდენტის უფლებამოსილების შეკვეცის სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯები თავისთავად ლოგიკურად გამოიყურება. გასაგებია, რომ უპირატესობა პრემიერს ენიჭება. თქვენი აზრით, ქვეყნისთვის, სახელმწიფოსთვის პრეზიდენტსა და პრემიერს შორის საჯაროდ ამგვარი დაპირისპირება რამდენად შეიძლება იყოს საფრთხის შემცველი? ფაქტია, რომ ორივე მხარემ ერთმანეთსაც და საზოგადოებასაც მეტი პატივი უნდა სცეს და იმდენი კი უნდა მოახერხონ, რომ თუ რამეზე კონსტრუქციული თანამშრომლობა არ გამოსდით, საჯაროდ არ იკინკლაონ...

— საქართველო არ არის საპარლამენტო რესპუბლიკა. საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს. ჩვენთან პრეზიდენტის არჩევა მოხდა პირდაპირი კენჭისყრით და მას გაცილებით მეტი ლეგიტიმაცია აქვს, ვიდრე საპარლამენტო რესპუბლიკაში, შესაბამისად, უფრო მაღალი პასუხიმგებლობაც. მაგალითად, მას ჰ ყავს უშიშროების საბჭო და არის მთავარსარდალი. მას შეუძლია, გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა და თავის თავზე აიღოს პასუხიმგებლობა. რაც ახლა ჩვენთან არის, მას საპარლამენტო რესპუბლიკას ვერ დავარქმევთ, მაგრამ ის არც საპრეზიდენტო რესპუბლიკაა.

როგორც ყოველთვის, ჩვენ შევქმენით საქართველოსთვის გაუგებარი კონგლომერატი. რისი მომსწრეც ჩვენ ვართ, ამას ინფანტელურ კინკლაობას დავარქმევდი. რაც ხდება, იმიტომაც ხდება, რომ ფუნქციები სწორად დალაგებული არ არის. ახლანდელ კონსტიტუციაში ძალიან ბევრი რამ გაუგებარია. არ ვიცი, ჩვენ საქართველოში რატომ ვიგონებთ ახალ მოდელს, როცა არსებობს წლების განმავლობაში აპრობირებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკების მოდელები. ან ერთი მოდელი უნდა ავიღოთ, ან მეორე. თუ საპარლამენტოს ავიღებთ, იმდენი უნდა მოვახერხოთ, რომ არაწინააღმდეგობრივი კონსტიტუცია გვქონდეს.

1995 წლის კონსტიტუცია იყო ძალიან კარგი, რომელიც 1992-1995 წლებში შემუშავდა. შემდეგ მასში ძალიან ბევრი შესწორება შევიდა. ეს იმისთვის მოხდა, რომ მიხეილ სააკაშვილს თავი უფრო კომფორტულად ეგრძნო. ბოლო შესწორებები მომდინარეობდა იქიდან, რომ სააკაშვილს აღარ შეეძლო პრეზიდენტობა და ამის გამო მოუნდა პრემიერ-მინისტრობა. ამას კი კონსტიტუციის შეუცვლელად ვერ გააკეთებდა. ახალი კონსტიტუცია ძალაში ახალი პრეზიდენტის არჩევის მეორე დღიდანვე შევიდა. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, შექმნილ ვითარებაში შევქმნიდი ახალ საკონსტიტუციო კომისიას, რომლის მუშაობაში აქტიურად იქნებოდა ჩართული ფართო საზოგადოება. შემდეგ ამ კონსტიტუციას გავიტანდი რეფერენდუმზე, რათა კონსტიტუციაში წარამარა შესწორებები ვეღარ შეეტანათ. აშშ-ის კონსტიტუციაში სულ 52 შესწორება აქვთ შეტანილი 230 წლის განმავლობაში, ჩვენ კი 1000-ზე მეტი.

ყველაზე სახიფათო ის გახლავთ, რომ კონსტიტუციონალისტები ამა ქვეყნისა ძლიერთა დაკვეთას ასრულებდნენ და მათ კრიტიკულ ვითარებაში არ ჰქონიათ პრინციპული პოზიცია. საკონსტიტუციო საკითხებზე საჩივრის განხილვა შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც წინა ხელისუფლების მიერაა დაკომპლექტებული.

ყველაზე სახიფათო ის გახლავთ, რომ კონსტიტუციონალისტები ამა ქვეყნისა ძლიერთა დაკვეთას ასრულებდნენ და მათ კრიტიკულ ვითარებაში არ ჰქონიათ პრინციპული პოზიცია.

ჩვენ სახელმწიფოს მართვაში მართლაც გვაქვს პრობლემები. ის, რაც მოხდა, მე უფრო კინკლაობას დავარქმევდი. სჯობდა, მათ უთანხმოებები არ გამოეტანათ სააშკარაოზე. უბრალოდ, ამგვარი კინკლაობის მოსმენა სირცხვილიც კია.

ესაუბრა
კობა ბენდელიანი

ჟამი არს, მტერი მამულის მივცეთ მახვილსა ლესულსა!

როგორც სათაურშია, ზუსტად ასეა ნათქვამი გივი ამილახვრის აღსარებაში, რომელიც გრიგოლ ორბელიანმა ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებანი“ დასაბეჭდად დაწერა და რაც შეთქმულების აჯანყებაში გადაზრდის შემთხვევაში აჯანყებულთა დევიზი, გნებავთ, მთავარი ლოზუნგი გახდებოდა.

ჟურნალი, რომელიც 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა ფარული ბეჭდვითი ორგანო იყო, შეთქმულებთან ერთად „დააპატიმრეს“. რედაქციის არქივში, რომელიც დაპატიმრებისას სოლომონ დოდაშვილს ჩამოართვეს, ერთი ანონიმური ლექსიც აღმოჩნდა, რომელსაც მკვლევარნი იოანე ბატონიშვილს მიაწერენ. იმდროინდელი საქართველოს ვითარება ასეა დახატული: „სკვით წაგვართვეს მთლად ქვეყანა, არც კი მოგვცეს კაცი ერთი; ქართლ-კახეთსა არ დაჰჯერდნენ, ზედ დაიდვეს იმერეთი. მწირობაში დავგლახავდით, შემწე არ გვყავს არცა ერთი, შევთხოვთ ზენას სამართალსა, ვნახოთ ვითა განსჯის ღმერთი“.

ზენამ კი ისე განსაჯა, რომ შეთქმულება იესე ფალავანდიშვილის ღალატით გამოაშკარავდა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეამ დროებით, მაგრამ კაი ხნით ადგილი დაუთმო რუსეთის იმპერიაში ქართველი ერის ფიზიკურად გამრავლების, განათლების, კულტურის აღორძინების, იმდროინდელი მოწინავე ტექნოლოგიების ათვისების და სხვა, ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამოცანებს!

და მართლაც რუსულ ხიშტებზე უსაზმანოდ შეწყდომაზე გონივრული უარის სანაცვლოდ ქართველმა ერმა ელემენტარულად, წერა-კითხვა ისწავლა, ხოლო მისი უკეთესი შვილები პეტერბურგ-მოსკოვ-კიევი-ოდესის გავლით ევროპის სხვა ქალაქების უნივერსიტეტებშიც ეზიარნენ უმაღლეს განათლებას.

მიხეილ ვორონცოვის რუდუნებით დაარსდა პირველი ქართული გაზეთები, თეატრი, ოპერა; სწორედ პეტერბურგიდან მობრუნებულმა ე.წ. თერგდალეულებმა, დიდი ილიას მეთაურობით, შექმნეს ახალი ქართული მწერლობა; განვითარდა ვაჭრობა, მრეწველობა, ტფილისი გახდა სრულიად კავკასიის უმთავრესი ქალაქი, და რაც უმთავრესია, ქართველი ერი ფიზიკური განადგურების საფრთხეს გადაურჩა – XIX საუკუნის დამდეგს, ანუ, რუსეთთან შეერთებისას აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა სულ რაღაც 70 ათას (!) ოჯახს (დემოგრაფ ანზორ თოთაძის მონაცემებით) ითვლიდა, ხოლო XIX საუკუნის მიწურულს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობამ 1.5 მილიონს გადააჭარბა!..

„სწრაფად განვითარდა ხელოსნობა, გაჩნდნენ კაპიტალისტური ტიპის მანუფაქტურები: აბრეშუმის, შაქრის, მინის, ტყავის, საპნის, აგურის საწარმოები. 1852 წლისთვის მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში 154 საწარმო არსებობდა, ხოლო 10 წლის შემდეგ მათმა რაოდენობამ 400 (!) გადააჭარბა.

თბილისში წარმოიშვა კომერციული სახლები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაჩნდა ბაზრობები, ე.წ. იარმარკები; თბილისელი ვაჭრები მომრავლდნენ ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე, საიდანაც უპირატესად შემოჰქონდათ ბამბის, სელის, შალის, აბრეშუმის ქსოვილები, რკინისა და ფაიფურის ნაწარმი, შაქარი, პურის ფქვილი და სხვა. თბილისელ ვაჭრებს ნაირ-ნაირი საქონელი გაჰქონდათ რუსეთში და საზღვარგარეთ – ნოვგოროდის 1850 წლის იარმარკაზე თბილისელ ვაჭრებს 1.195019 მანეთის საქონელი ჩაუტანიათ. დასავლეთ საქართველოდან სიმინდის დიდი რაოდენობა გაჰქონდათ ინგლისში და ირლანდიაშიც კი“.

ეს ყველაფერი აკაკი და პაატა სურგულაძეების ავტორობით გამოცემულ 1783-1990 წლების **„საქართველოს ისტორიიდან“** ამოვიწერე და ევროპასთან ასოცირების ცრუ პერსპექტივებით გონდაბნელებულთა საყურადღებოდ რამდენიმე კითხვას დავსვამ:

იცით თუ არა, რამდენი ევროს ეკვივალენტია დღეს მაშინდელი „მილიონსჩემტო“ ოქროს რუსული რუბლი? რისი ღირებულების საქონელიც, საქართველოს რუსეთთან „ძალით“ შეერთებიდან სულ რაღაც 50 წლის შემდეგ შეუტანიათ თბილისელ ვაჭრებს ნოვგოროდის ბაზრობაზე და როდის, ევროპის ასოცირებასთან „ნებაყოფლობით“ მიერთებიდან რამდენი წლის შემდეგ გაიტანს საქართველო მილიარდობით ევროს ღირებულების საქონელს ევროკავშირის ქვეყნებში?

ეს ისე, მცირე ლირიკულ-რიტორიკული გადახვევა...

ახლა მავანი დამამუნათებს, რუსეთმა გააუქმა ბაგრატოვანთა სამეფო ტახტი და ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, კირით შეგვითეთრეს ფრესკები, ქართველთა გარუსება მოინდომეს და ა.შ. სხვა მრავალი ვნება მოგვაყენეს ჯერ რომანოვების და შემდეგ სტალინის იმპერიაში 200 წლის მანძილზეო და მერე რა?

ეს ყველაფერი ჩემს შესაძლო ოპონენტებზე კარგად იცოდნენ მაშინ მოღვაწე საქართველოს გამორჩეულმა შვილებმა, მაგრამ...

პირუთვნელმა ისტორიკოსებმა მე-19 საუკუნის დასაწყისი მაინც უმნიშვნელოვანეს მომენტად მიიჩნიეს ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებაში, რადგან ამ დროიდან იწყება ახალი პერიოდი ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მე-19 ს. დასაწყისიდან ქართველი ხალხის ბედი მტკიცედ დაუკავშირდა რუსი ხალხის ბედს.

ქართველი ხალხის ფიქრთა მპყრობელმა ილია ჭავჭავაძემ ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილში, „ასის წლის წინათ“, რომელიც 1899 წლის 26 ნოემბერს დაწერა და საქართველოში რუსის ჯარის პირველად შემოსვლის 100 წლისთავს მიუძღვნა. რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული მნიშვნელობა შემდეგი სიტყვებით გადმოსცა: **„დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა... ის დღე და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში“...**

სხვათა შორის, დიდი ილიას ამ წერილს, რომლის პათოსიც ვერაფრით ჯდება დღევანდელი ხელისუფლება-ოპოზიციის რუსოფობიურ რიტორიკაში, ინტერნეტში ვერანაირი „დაგუგლვით“ ვეღარ იპოვნი – ეს ისე, ცნობისთვის.

ნიშანდობლივი და, ერთი შეხედვით, პარადოქსული ფაქტია, რომ მთიულეთის, კახეთის, იმერეთის აჯანყებების თუ იგივე 1832 წლის შეთქმულთა საბოლოო მიზანი იყო არა ოკუპანტ რუსეთთან ყველანაირი კავშირების გაწყვეტა, არამედ გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე აღდგენა სამეფო ტახტისა და ზოგადად შიდა ავტონომიური მმართველობისა, **რადგანაც კარგად ხედავდნენ, რომ ლამის ალექსანდრე I მანიფესტის გამოცხადებისთანავე საქართველოში აილაგმა ლეკიანობა და ისლამის ოკეანეში კვლავ აღმოჩენის პერსპექტივა არავის ხიბლავდა...**

უმადურობა დიდი ცოდვაა, ხოლო ისტორიული უმადურობის ცოდვისთვის პასუხს მთელი ერი აგებს. ამიტომ, როდესაც რუსეთის მხრიდან ქართველებისთვის მიყენებულ ზიანზე ვლაპარაკობთ, არც რუსეთთან თანაცხოვრების სიკეთეები უნდა დავივიწყოთ!

XX საუკუნის დასაწყისში კი, რუსეთის დუმის დეპუტატი, თავადი ილია ჭავჭავაძე რუსეთის იმპერიის შიგნით ითხოვდა საქართველოს კულტურულ ავტონომიას. ეგ იყო და ეგ, რადგანაც ილია მართალსაც კარგად ესმოდა, რომ საქართველოს ძლიერი შემწე-მფარველის გარეშე გაუჭირდებოდა დამოუკიდებლად არსებობა, საკუთარი ისტორიული მეს შენარჩუნება!

დიდი ილიას შიშები რომ უსაფუძვლო არ იყო, დღეს გამოჩნდა – **ვითომ დამოუკიდებელი სახელმწიფო გვაქვს, მაგრამ სამშობლოს გვართმევენ!**

რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო არ გვქონდა, მაგრამ გვქონდა სამშობლო...

პარადოქსია ისიც, რომ ქვეყნის „მთავარი ოპოზიციური ძალა“, ნაცებანდა ნიადაგ ამუნათებს მეოცნებე ხელისუფლებას, რომ ისინი პრორუსულები არიან, პუტინის თამაშს თამაშობენ და ა.შ. ეს უკანასკნელნი კი ხელებს ასავსავებენ, ლამის ბარაკ ობამას დედის სულს იფიცებენ, რის რუსეთი, რა პუტინი, პირდაპირ ევროკავშირ-ნატოსკენ გვიჭირავს გეზიო!

ჰოდა, ნაცებ-ქოცების ამ შეხმატკბილებულ, კოჰაბიტაციიდან შობილ ვასვასში, ქვეყანა თავზე გვექცევა – აგერ თითქმის 2 წელიწადია საქართველო-რუსეთის „ახალი ურთიერთობები“ კარასინ-აბაშიძის ფორმატს და რუსეთის ბაზარზე „ორიოდე“ ბოთლი ქართული ღვინო-ბორჯომის შეტანას ვერ გასცილებია.

ამიტომაც არის, რომ რუსეთის მხრიდან ე.წ. მცოცავი ანექსია კონფლიქტის ზონაში გრძელდება და თუ უილაჯო არა, არას არ მოვიშლით, ცოცვა ხტუნვაში გადაიზრდება და მავთულხლართებს იქით ქუთაისთან, ხოლო აქეთ თბილისთან გადმოიტანენ!

ამ რეალობაში ქართველი ურაპატრიოტები „რკინისებური არგუმენტებით“ გვიპირისპირდებიან პრაგმატულად მოაზროვნეებს – თუ ერთმორწმუნეები არიან და ჩვენთან მეგობრობა უნდათ, დაგვიბრუნონ ჩვენი ტერიტორიების 22 % და ა.შ. სხვა მრავალი ლირიკული გადახვევები, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ მკაცრ პოლიტიკურ რეალობასთან!

რუსეთმა თუ ჩვენი მიწის 22 % მიითვისა, რატომ არავინ ითვლის იმ პროცენტებს, რომელთაც მართლაც ჩვენმა მარადის მტერმა თურქეთმა უყო ანექსია? მიუხედავად ამისა, რუსეთს მხოლოდ მტრად განვიხილავთ, ხოლო მართლაც ისტორიულ მტერს, თურქეთს – უპირველეს მეგობრად. ქვეყანას, რომლის ეკონომიკური ანექსია უკვე თბილისშიც და განსაკუთრებით აჭარაშია თვალნათელი. სახელმწიფო, რომლის საგარეო მინისტრი დავიდ ოღლუ პირდაპირ აცხადებს, რომ თურქეთის საბოლოო მიზანი ე.წ. დიდი თურანის იმპერიის აღდგენაა, სტამბოლიდან, ბათუმი, სარაევომდე, რისთვისაც გლობალიზაციის პირობებში სულაც არ არის საჭირო ტანკები და ბომბებიო – ეკონომიკურ ექსპანსიაზე უკვე მოგახსენეთ და საქართველოს ტელევიზიებში საეჭვოდ მომრავლებული თურქული სერიალები ამ პროცესის პროპაგანდისტული შემადგენელია.

თბილისიდან სარფამდე დაახლოებით 400 კილომეტრია და სარფიდან იქით, თურქეთის საქართველოში კიდევ 400 კილომეტრი ძირძველი ქართული მიწაა და რატომ არავინ ითვლის საქართველოს ტერიტორიის რამდენი პროცენტია ეს 400 კმ, რამდენი აქვს მიტაცებული ჩვენს „მეგობარ“ თურქეთს?

რა თქმა უნდა, რუსეთს ანექსირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები, მაგრამ თურქების მიერ ანექსირებულისგან განსხვავებით, რუსეთის მიერ მიტაცებულის დაბრუნების შანსი ჯერ კიდევ არსებობს და თუნდაც ამიტომ არ ვუწოდებ მას ოკუპანტს.

ეგეც არ იყოს, და იქნებ ისიც დაგვეთვალა, რამდენი ტერიტორია დაბრუნა XIX საუკუნეში რუსულმა იარაღმა და ირან-ოსმალეთთან ომებში დაღვრილმა რუსულმა სისხლმა, ფორმალურად რუსეთის იმპერიის ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში, რეალურად კი ერთიან ქართულენოვან კულტურულ სივრცეში? ტერიტორიები, რომლებიც XX საუკუნეში რომანოვების იმპერიის დამხობის შემდეგ უკვე ფორმალურადაც საქართველოს იურისდიქციაში მოექცა და ის, რომ მაშინ დამოუკიდებლობაც დავკარგეთ და ტერიტორიებიც, სტალინ-ორჯონიკიძეზე მეტად უნიათო მენშევიკების ბრალი იყო.

იქნება ისიც გაგვეხსენებინა, როგორ განუცხადა მოკავშირეებს სტალინმა 1945 წლის იალტის კონფერენციაზე, რომ თურქეთმა უნდა დაუბრუნოს საქართველოს წართმეული ტერიტორიებიო – სიტყვას საქმეც მოაყოლა დიდმა ბელადმა და სარფიდან ვიდრე ტრაპიზონამდე უკვე რაიკომის მდივნობის კანდიდატებსაც კი განიხილავდნენ პოლიტბიუროში. და რომ არა დღევანდელი ჩვენი „მეგობარი“ აშშ, რომელმაც სტალინის მადის მოსათოკად, მის დასაშინებლად, უკვე დამარცხებულ იაპონიას ატომური გენოციდი მოუწყო, ვინძლო დღეს ტრაპიზონში ყოფილიყო საქართველოს საზღვარი...

მაშ, ვისკენ არის მიმართული წერილის პათეტიკური სათაური, ვინ არის „მტერი მამულის“ და ვინ უნდა „მივცეთ მახვილსა ლესულსა“?

თუ რუსეთი, მაშინ მხოლოდ ნაწილობრივ, რადგანაც სწორი, თანმიმდევრული და რაც უმთავრესია, გულწრფელი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ასეთი მტრის, მით უმეტეს ერთმორწმუნის მოყვრად ქცევა ადვილი შესაძლებელია!

უმადურობა დიდი ცოდვაა, ხოლო ისტორიული უმადურობის ცოდვისთვის პასუხს მთელი ერი აგებს. ამიტომ, როდესაც რუსეთის მხრიდან ქართველებისთვის მიყენებულ ზიანზე ვლაპარაკობთ, არც რუსეთთან თანაცხოვრების სიკეთეები უნდა დავივიწყოთ!

მთავარი მტერი მამულის თავისუფლების ინსტიტუტი და მის ბაზაზე დაჩეკილი გველის წიწილები, ოკეანის გაღმიდან თუ ევროპიდან უხვად ფინანსირებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, მათი სკოლაგამოვლილი ლიბერასტი პოლიტიკოსები არიან, რომლებმაც რუსეთს ლამის საშვილიშვილოდ გადაგვიკიდეს, რომლებიც ყოველგვარ ქართულს, მართლმადიდებლურსა და ტრადიციულს უკვე აშკარად ებრძვიან და სწორედ ისინი უნდა „მივცეთ მახვილსა ლესულსა“ და არა რუსეთი და მისი ვაჟკაცი პრეზიდენტი, რომელსაც მთელი მსოფლიო უკვე აშკარად ებრძვის!

დიდი ილიას შიშები რომ უსაფუძვლო არ იყო, დღეს გამოჩნდა – ვითომ დამოუკიდებელი სახელმწიფო გვაქვს, მაგრამ სამშობლოს გვართმევენ!

რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო არ გვქონდა, მაგრამ გვქონდა სამშობლო...

უკრაინაში მართლაც საქართველოს ბედიც წყდება, მაგრამ არა ნაცური, არამედ კაცური გაგებით – საბოლოო ჯამში დღეს იქ უღმერთობა ებრძვის ღმერთს, უზნეობა – ზნეობას, პედერასტობა – ვაჟკაცობას, ნორმალურობა – არანორმალურს და ყველა ნორმალური ადამიანის სიმპათიები რუსეთის მხარეს იხრება!

ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი მთელს მსოფლიოში ლგბტ-პედერასტების უფლებების დაცვაა! ღიად განაცხადეს ჰილარი კლინტონმა და ბარაკ ობამამ და ამაზე მეტი რაღა გინდათ ხელისუფლებაში თუ მის გარეთ მოვასვასე ამერიკის შნირებო?

მიუხედავად ამისა, საქართველოში დღემდე არ არსებობს ძლიერი, ე.წ. რუსული ლობი და ეს, უწინარესად, თავად რუსეთის ბრალია, რომელიც სერიოზულ კაპიტალს არ დებს ქართულ პოლიტიკაში და რასაც დებს, ისეთ ოდიოზურ პიროვნებებზე გავლით, რომ პრორუსულობის იდეა თავშივეა დისკრედიტირებული.

ამიტომაა, რომ ქართულ რეალ-პოლიტიკაში შესასვლელი საშვი იმაზე გადის, როგორ გააღმერთებ ამერიკას და, შესაბამისად, როგორ აგინებ რუსეთს!

არადა, თუნდაც მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთთან ერთ სახლში 2 საუკუნე ვიცხოვრეთ, აბსოლუტურად ნორმალურია, რომ საქართველოში არსებობდეს პრორუსული, უფრო სწორედ პროქართული პარტია, რომელიც საქართველოს მომავალს რუსეთს დაუკავშირებდა და ამის გამო მოღალატედ არ შერაცხავდნენ.

აი, ეს კი იმის ბრალია, რომ საქართველოში დღემდე არ აღმოჩნდა პოლიტიკოსი, რომელიც პირდაპირ, ყოველგვარი რევერანსების გარეშე დასავლეთის თუ ადგილობრივი ლიბერასტების მიმართ გაბედავდა და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევდა...

ჰოდა, მე ვბედავ! – **მხოლოდ რუსეთთან ერთად მიჩანს საქართველოს მომავალი განვითარება, მხოლოდ რუსეთთან ერთად მიჩანს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა! მხოლოდ რუსეთთან ერთად ვხედავ მართლმადიდებლობის გამარჯვებას და, აქედან, მხოლოდ რუსეთთან ერთად მიჩანს საკუთარი იდენტობის გადარჩენა!**

რუსეთთან ერთად მიჩანს, რომ სახელმწიფოც მქონდეს და სამშობლოც!

ზემოთ ვთქვი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი ჯერ კიდევ არსებობს-მეთქი, მაგრამ ეს „ჯერ კიდევ“ უსასრულოდ ვერ გაგრძელდება.

დრო დღეს რუსეთზე მუშაობს. სხვათა შორის, უკრაინაშიც, და მხოლოდ რეგვენს ჰგონია, რომ უკრაინაში პუტინის რუსეთი უკანასკნელ დღეებს ითვლის, რადგან ბლოკადები და სანქციები რუს ხალხს მხოლოდ აძლიერებს. ასე ჰყავდათ ბლოკადაში სტალინის რუსეთი და შედეგად მსოფლიომ ატომური ზესახელმწიფო მიიღო და ასე იქნება ხვალაც, პუტინის რუსეთიც ისეთ პასუხს გასცემს მსოფლიოს, რომ, როგორც თავად რუსები იტყვიან – „მალო ნე პოკაჟეტსა“!

მაგრამ სტალინის რუსეთი თუ რუსეთის ვაჟკაცი პრეზიდენტი, ბლოკადები და სანქციები სხვა თემებია და ამაზე შემდეგ...

დავით მხეიძე

კრება დარჩა მხიარული...

წინასწარვე მინდა, განვაცხადო, არავითარი კრება არ ყოფილა, არც მხიარული და არც დამწუხრებული. მხიარული კრება ჩვენს დღევანდელ მწუხარე ყოფასთან დაკავშირებით უბრალოდ გამახსენა კომუნისტების დროინდელმა იმ ნეტარმა ხანამ, როცა ცხოვრების ყველა მტკივნეულ საკითხს პარტიული ბოსები ხალხმრავალ კრებებზე წყვეტდნენ. ერთ ასეთ კრებაზე, სადაც თურმე პირველ საკითხად კომუნიზმის მშენებლობის, ხოლო მეორე საკითხად – მეცხოველეობის ფერმის აშენების პერსპექტივაზე უნდა ემსჯელათ, რომელიღაც გლეხმა იენაკვიმატა: ამხანაგებო, წინადადება შემომაქვს, ფერმის მშენებლობის საკითხი დღის წესრიგიდან მოვხსნათ, რადგან მას მაინც ვერ ავაშენებთ, აი, კომუნიზმის მშენებლობაზე კი რამდენიც გსურთ, იმდენი ვიკამათოთო(!).

აბ, მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე საქართველოს ხელისუფლებისა და დედაქალაქის მერიის სათავეში მოექცეოდნენ ადამიანები, რომლებიც ხალხთან კამათსა და აზრის მოსმენას ვინ ჩივის, საკუთარ ნამუსთან (თუკი ნამუსი გააჩნდათ) კამათსაც გაურბოდნენ, არავის არაფერს ეკითხებოდნენ, თბილისსა და სხვა ქალაქებშიც უკანონოდ და უგეგმოდ აშენებდნენ მხოლოდ იმას, რაც თავად სურდათ და ეპრიანებოდათ. ამ წერილში საუბარი გვექნება ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ ასეთ ყველაზე უფრო „გაცათამბჯენებულ“ უბანზე (ეს უკვე მერამდენედ!), კერძოდ კი სპორტის სასახლის ირგვლივ თვალშეუდგამად განფენილ, ასანთის კოლოფებივით ჩაწყობილ კორპუსებზე, რომელთა მცხოვრებთაც ზემოთ მზის ჭვრეტა გასჭირვებიათ და ქვემოთ – დედამიწისა...

რა მიწაზეა ლაპარაკი, ალბათ, იკითხავთ. იმ მიწაზე, ბატონებო, რომელიც თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყანასა და ნორმალურად განაშენიანებულ ქალაქის უბნებში კორპუსებსა და კვარტალებს საეზოვეებად და მცირე პარკების გასაშენებლად უნდა გამოყოფოდათ, მაგრამ, რადგან თბილისში სამშენებლო პროექტების გათვლებს არავინ აკეთებდა და არც გენგეგმას ადგენდნენ, იმიტომ, რომ შარახვეტია და ფულიყლაპია საკაშვილსა და უგულავას სადაც მოესურვებოდათ, სახლებიც იქ შენდებოდა, ამიტომ, მივიღეთ ის „ბარდაკი“ და ქაოსი, რაც მივიღეთ.

ჰოდა, თუ კაი ბიჭი ხარ, აბა ეცადე და ხალხის კეთილდღეობას გადაყოლილი ამ დონკიხოტების მიერ აშენებული ქალაქის ცადაწვდენილ კორპუსებს შორის ერთი გამწვანებული ეზო, ერთი მცირე პარკი ან ბავშვების სათამაშო მარტივი ტიპის მოედანი მაინც აღმოაჩინე. რაც არ არის, რას აღმოაჩენ! აქ ბეტონის კედლებს შეყუჟული ადამიანები ისევე გრძნობენ თავს, როგორც მგალობელი ფრინველები გალიაში, ან კალმახები და ორაგულები – აკვარიუმში. აღარაფერს ვამბობ საბავშვო ბაღებსა (ყველა ისინი კერძო ბინებშია განთავსებული) და სკოლებზე, რომელთა არსებობა აქაურ მშენებლებსა და დამგეგმარებლებს ძილშიც კი არ დასიზმრებიათ.

ამ კორპუსებად აჩონჩხილ სივრცე-გარემოში, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ტანჯვა-წამებაში უწევთ ცხოვრება და მგზავრობა აქაურ ავტომფლობელებსა თუ ქვეითად მოსიარულეებს. ამ ვიწრო ზოლებისთვის, რომლებიც სოფლის ორღობეებს უფრო მოგვაგონებენ, ვიდრე ადამიანთა და ავტომობილთა სავალ ქუჩებს, სახელებიც (ალმასიანის, ბერბუკის, აფაქიძის, ალექსიძის, კვერნაძის და სხვ.) შეურქმევიათ, მაგრამ ისინი ისევე ასრულებენ ქუჩის მოვალეობას, როგორც ციხეში გამომწყვდეული უგულავა თავის დროზე – მერობისას. იმ ერთი კახელისა არ იყოს, რა ქუჩები, რი ქუჩები, ეს უბრალოდ აქეთ-იქით ავტომანქანებით ჩახერგილი ადგილებია, რომელთა უხიფათოდ გავლას არა მარტო მძღოლები (მანქანიდან თავი არ უნდა გამოყო, თორემ ვიღაც „ლიხაჩი“ ყურებიანად წაგაცლის), ქვეითად მოსიარულენიც კი გაჭირვებით ძლივს ახერხებენ.

ასეთ მძიმე სიტუაციაში, ერთადერთი, ვინც არ დაიბნა, თავად სპორტის სასახლის ადმინისტრაციაა (დირექტორი გიო ხუციშვილი), რომელმაც ვითომ ავტომანქანებისგან ქუჩის განტვირთვის მიზნით, სასახლის ირგვლივ მდებარე მთელი ტერიტორია ბეტონის ლოდებით შემორაგა, საგულდაგულოდ დახაზა, შესასვლელთან ყარაული დასვა და ფასიანი (ფასი საათობით იანგარიშება) სადღეღამისო ავტოსადგომი განათავსა. ამით სასახლის დირექციამ ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირა: თავისუფალი ადგილის უიმედო მძებნელი ავტომფლობელების გულიც მოიგო და საკუთარ ჯიბესაც მსუყე სასუსნავი გაუჩინა. ეს მათი გაგებით, თორემ სინამდვილეში სასახლის ტერიტორიის ეგრეთ წოდებულმა გაპარკინგებამ აქ შექმნილი მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. ეს განსაკუთრებით მაშინ იგრძნობა, როცა სპორტის სასახლეში რაიმე სპორტული, კულტურული ან პარტიულ-პოლიტიკური ღონისძიება იმართება. ასეთ დღეებში, რომლებიც არც თუ იშვიათია, აქ ისეთი დომხალ-ბაზარი იქმნება, რომ არა თუ ავტომანქანით, ფეხით გავლაც შეუძლებელი ხდება.

ანუ უგულავა ქალაქმშენებლობას ციხიდან უძღვება?!

თუმცა, რა აზრი აქვს ამ ყველაფრის წერას და ხელისუფალთა შეგონებას, თუკი მათ არც გაზეთის წასაკითხად ეცალათ და არც თბილისელთა ტკივილის მოსასმენად (უგულავა ერთთავად იმაზე იყო მიძუძგურებული, ახალი კორპუსის ასაშენებლად სად რომელი ადგილი გაეიმასქნებინა). როგორც ჩანს, არც პატრულს გაუბარტყუნებია ყური, თორემ სპორტის სასახლესთან მოძრაობის მოწესრიგებასაც ხომ მთავრობის ან პარლამენტის გადაწყვეტილება არ სჭირდება. სხვათა შორის, იმ პარლამენტის თავმჯდომერე, ბატონი უსუფაშვილი, გახლავთ საბურთალოს ის რჩეული მაჟორიტარი, წინასაარჩევნო შეხვედრაზე ამ უბნელებს უამრავი სატკივრის მოგვარებას რომ გვპირდეობდა. ვიცით, რომ მას თბილისიდან ქუთაისში ყოველდღიური წოწიალი (ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისათვის) უამრავ დროს აკარგვინებს, მაგრამ სკოლა, საბავშვო ბაღები, სუფთა ჰაერი, ქუჩაში თავისუფლად მოძრაობა – ეს ის საარსებოდ მნიშვნელოვანი პრობლემებია, რომელთა გადაუჭრელობა დეპუტატს ძილშიაც უნდა ესიზმრებოდეს.

იმ საპარლამენტო არჩევნებიდან დიდ დროს არ გაუვლია და კარს მოგვადგა დედაქალაქის საკრებულოს არჩევნებიც. ერთ მშვენიერ დღესაც ხსენებული უბნის ამომრჩევლებს გამოეცხადა საკრებულოს წევრობის კანდიდატი დავით ზურაბიშვილი, ფეხით შემოიარა უთავბოლოდ ჩაყრილ-ჩახლართული კორპუსები, ავტომანქანებით ჩახერგილი ქუჩები, პირადად გაესაუბრა უეზო-უჰაეროდ დარჩენილ მოსახლეობას და შეიბრალა: თქვე საცოდავებო, ეს რა დღეში ჩაუყრიხართ უგულავას უმართავ მმართველობას და მფლანგველურ თავგასულობას. თუ პატივს დამდებთ და მაჟორიტარ დეპუტატად ამირჩევთ, პირობას გაძლევთ, ყველა თქვენს გასაჭირს შევისწავლი და გადაგიწყვეტთო. ცოტაღა დააკლდა ეთქვა, ბედსა გწევთო.

იმ ამომრჩეველთაგან ერთმა ყველაზე გამბედავმა თუ ენამასწარა ქალბატონმა მაჟორიტარობის კანდიდატს რეპლიკასავით ესროლა: რა ვიცი, ჩემო ბატონო, არჩევნებამდე უსუფაშვილიც ასე გვპირდებოდა, მაგრამ მას შემდეგ რაც სკამზე დაჯდა, გულმავიწყობა დასჩემდაო.

– ბატონ დავით უსუფაშვილს, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი უკავია, ამქვეყნად იმდენი რამ აბარია, ამ უბნისთვის რომ ვერ მოიცალოს, სულაც არ გაემტყუნება, – პირი მოსწმინდა მაჟორიტარობის კანდიდატმა, ჩემთვის კი, თუ ქალაქის საკრებულოში ამირჩევთ, პრიორიტეტი სწორედ ამ უბნის საზრუნავი იქნება.

და აი, ამ დღეებში სპორტის სასახლის უბნელებს სასაუბროდ და გასაჭირ-გაუსაძლის ტკივილთა გასაზიარებლად კვლავ ეწვივნენ თბილისის საკრებულოს უკვე არჩეული მაჟორიტარი დავით ზურაბიშვილი და საბურთალოს მუნიციპალიტეტის ახლად დანიშნული გამგებელი ბექა მიქაუტაძე. ამომრჩევლებმა იფიქრეს, როგორც იქნა გვეშველაო, და რაც კი რამ აწუხებდათ, ყველაფერი ერთბაშად გადმოულაგეს:

– აი, ნახეთ, ბატონებო, – განუცხადეს საპატიო სტუმრებს, – უგულავას ხროვამ და მისმა ამფსონებმა – დეველოპერმა მშენებლებმა რა დღეში ჩააგდეს დედაქალაქის უნიკალური არქიტექტურული ძეგლის – სპორტის სასახლის კარმიდამო, მთელი მისი შემოგარენი და რა დღეში ჩაგვყარეს ჩვენ – აქ მცხოვრები მოსახლეობა. აქაო და, ქალაქის ცენტრში ადგილები სარფიან ფასში იყიდებაო, მტკაველი მიწა აღარ დატოვეს გაუყიდავი, ნაგვის ყუთებიც კი აიღეს და იქ 16 და 20-სართულიანი კორპუსები ჩადგეს. ესეც არ იკმარეს და სასახლის ფასადის „გასაკეთილშობილებლად“ ამ ორიოდე დღის წინათ ტროტუარზე საშაურმე და სასენდვიჩე (ვითომ „მაკდონალდსი“ არ კმაროდა) გახსნეს. ერთადერთი „მზეჭაბუკის“ სკულპტურაღა გამოიყურება ლაღად და, ალბათ, მალე მის გვერდით სახინკლესაც ვიხილავთ.

– სასახლის ეზო ბეტონის ლოდებით ვინ გადაკეტა? – დაინტერესდა ახალი გამგებელი.

– ვინ გადაკეტავდა, რა თქმა უნდა, ამ „ნოვაციის“ ავტორი თავად სასახლის დირექციაა, ის არ იკმარეს, რომ თვით შენობაში ევრობრენდით მოვაჭრე მაღაზია გახსნეს და ჯიბის შემოსავალი რომ გაეზარდათ, ახლა კიდევ მას ეზოს ფასიანი ავტოსადგომი მიუმატეს.

– ახლა სასახლის დირექტორი გიო ხუციშვილია, არა?

– დიახ, მომღერალი გიო ხუციშვილი, რომელსაც მომღერლობასთან ერთად ბიზნესის კეთების ნიჭიც აღმოაჩნდა. მან ამ რამდენიმე წლის წინათ სასახლის გადასწვრივ, მეტროს ჩასასვლელთან, ბარ-რესტორანი გახსნა, მერე რესტორან „მაკდონალდსის“ გვერდით დიდი, დღევანდელობის სადაგი რესტორნის მშენებლობაც წამოიწყო, მაგრამ, ეტყობა, ფინანსები შემოაკლდა და მშენებლობა დააკონსერვა. ამასობაში მეორე გიოსნაირმა ბიზნესმენმა აქ შექმნილი „ბარდაკით“ ისარგებლა და მომღერლის მტვერწაყრილი ობიექტის გვერდით (ორ მეტრში) ახალი ცათამბჯენის მშენებლობა წამოიწყო, რომელსაც არა თუ ეზო, სამშენებლო მოედანიც კი არ გააჩნია.

– ჰოდა, გაუგებარია, რატომ აძლევთ ასეთ კომპანიას აქ 22-სართულიანი ცათამბჯენის აშენების უფლებას, – ჩაერია საუბარში ჭაღარა, გამხდარი მამაკაცი, – თუ ამ საქმეში გარიგების სუნი არ ტრიალებს? აი, ნახეთ, ბატონებო, შენობა გეგმიურ ფართობში რომ ვერ ჩაეტია, მანქანების სავალი გზა გადაკეტა. მერიის ძველი უფროსობა თუ აქედან ფულს აკეთებდა, ახალმა ხელისუფლებამ ხომ მაინც უნდა დაგვანახოს ეს უკანონობა და მშენებლობა შეაჩეროს?

– აკი თქვა ნარმანიამ, – გააგრძელა საუბარი ფაშფაშა ქალბატონმა, – ახალ მშენებლობებს გადავხედავთ, და თუ კანონდარღვევას შევამჩნევთ, შევაჩერებთო. აი, კონკრეტულად ეს მშენებლობა ნამდვილად შესაჩერებელია!

– მასე იოლად არ წყდება მშენებლობის შეჩერების საქმე, როგორც თქვენ გგონიათ ქალბატონო, – შეეცადა განმარტებას მაჟორიტარი ზურაბიშვილი, – ამის მშენებელს ეს ფართობი ნაყიდი აქვს და უკვე მისი საკუთრებაა. საკუთრების წართმევის ულება კი არავის აქვს. ამას აკეთებდა საკაშვილის ხელისუფლება და ამით რაც დაიმსახურა, ყველამ დაინახა. ჩვენ წინა ხელისუფლების შეცდომებს ვეღარ გავიმეორებთ.

– მაგრამ მან იყიდა სამშენებლო ფართობი და არა გზა, რომელიც უკანონოდ დაისაკუთრა. ან ეს რომელ კანონში ჯდება, სპორტის სასახლის დირექციამ ეზო რომ შემორაგა და ავტოსადგომად აქცია?

– კერძო მესაკუთრეს უფლება აქვს თავისი ტერიტორია შემორაგოს. ზეპირად ლაპარაკი არ შეიძლება, უნდა დადგინდეს, ვისი საკუთრებაა სპორტის სასახლე და დასკვნებიც ამის მიხედვით გაკეთდეს.

– ყაჩაღმა უგულავამ სპორტის სასახლეც თუ გასხვისა და ერთი პიროვნების კერძო საკუთრებად აქცია, ეგ კი აღარ გვეგონა, – განცვიფრება ვერ დამალა ჩაფსკვნილმა, ნახევრად მელოტმა მამაკაცმა, – ეგ არამზადა ციხეში კი გამოამწყვდიეს, მაგრამ, როგორც ეტყობა, იქაც არ ისვენებს და ახლა საპატიმროდან მართავს თბილისის ახალმშენებლობებს. ამის დასტურად თუნდაც სპორტის სასახლის უკან მდებარე მათემატიკური გამოთვლების ინსტიტუტი გამოდგება, რომელიც, როგორც ხალხი ლაპარაკობს, კანონდარღვევით შეისყიდეს უგულავას „გუნდის“ მშენებლებმა, მამაშვილმა ზაქაიძეებმა და ახლა მის ადგილზე მაღლივი სასტუმროს წამოჭიმვას აპირებენ. ქონებას დახარბებული მარტო ინსტიტუტის დასაკუთრებით არ დაკმაყოფილდნენ და სამშენებლო ფართობში უკანონოდ მოაქციეს ამ უბანში ერთადერთი მარტივი ტიპის სპორტული მოედანი (იმის მაგივრად, რომ თვითონ აეშენებინათ, არსებულსაც ანადგურებენ), სადაც მოზარდები თავისუფალ დროს ჯანმრთელობას იკაჟებდნენ.

– უკვე გითხარით, ბატონებო, მაგრამ არ გინდათ, რომ მოისმინოთ, – ხმაში წყენა დაეტყო დავით ზურაბიშვილს, – ჰაერზე ლაპარაკი, მტკიცებულებების გარეშე მავანთათვის ბრალდებების წაყენება დაუშვებელია. დაწერეთ განცხადება, შემოიტანეთ საკრებულოში, ჩვენ მას შესაბამის ორგანოებს გადავუგზავნით და თუკი ვინმე კანონდარღვევით მიითვისა სხვისი ქონება, ჩამოერთმევა და დაისჯება.

– მაჟორიტარს ნუ ანერვიულებთ, მეგობრებო! – სცადა გახუმრება რომელიღაც ამომრჩეველმა, – რადგან ავირჩიეთ, ვაცადოთ მუშაობა და ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება. ნათქვამმა ერთბაშად გამოაფხიზლა აგვისტოს ხვატით გათანგული ხალხი (შეხვედრა შუადღის გულზე, ქუჩაში ტარდებოდა) და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთგვარად გაამხიარულა კიდეც. როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, „კრება დარჩა მხიარული“. მე კი რატომღაც ისევ გამახსენდა კომუნისტების დროინდელი შეკრებები, როცა კომუნიზმის მშენებლობის საკითხებს სულ იოლად წყვეტდნენ, ფერმის მშენებლობისას კი – ვერა. **იმათგან განსხვავებით, ახლანდელ ხელისუფალთ სახლების შენება (თუნდაც ცათამბჯენებისა) მართლაც რომ ხელეწიფებათ, აი დემოკრატიისა და კანონიერების შენებაში კი – ვერა და ვერა!**

ოთარ ხუციშვილი

უგულავას ხროვამ და მისმა ამფსონებმა – დეველოპერმა მშენებლებმა რა დღეში ჩააგდეს დედაქალაქის უნიკალური არქიტექტურული ძეგლის – სპორტის სასახლის კარმიდამო, მთელი მისი შემოგარენი და რა დღეში ჩაგვყარეს ჩვენ – აქ მცხოვრები მოსახლეობა. აქაო და, ქალაქის ცენტრში ადგილები სარფიან ფასში იყიდებაო, მტკაველი მიწა აღარ დატოვეს „გაუპრალავებელი“, ნაგვის ყუთებიც კი აიღეს და იქ 16 და 20-სართულიანი კორპუსები ჩადგეს. ესეც არ იკმარეს და სასახლის ფასადის „გასაკეთილშობილებლად“ ამ ორიოდე დღის წინათ ტროტუარზე საშაურმე და სასენდვიჩე (ვითომ „მაკდონალდსი“ არ კმაროდა) გახსნეს. ერთადერთი „მზეჭაბუკის“ სკულპტურაღა გამოიყურება ლაღად და, ალბათ, მალე მის გვერდით სახინკლესაც ვიხილავთ.

დღეს უკვე მეოთხე თვე სრულდება, რაც საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროს დასაცავად დაწყებული პროტესტი გრძელდება. ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი და ისტორიკოსი ირაკლი ლომიძე ერთგულად დარაჯობენ იმ ადგილებს, რომელთა ბედიც ჯერ კიდევ გაურკვეველია.

საყდრისის დამცველთა მთავარი მისია არა მარტო პრეისტორიული მაღაროს გადარჩენაა, არამედ იმ უძველესი ტაძრებისა და ძეგლების მოძიებაც, რომლებსაც „არ ემ ჯი გოლდმა“, ასევე, საფრთხე შეუქმნა.

„ჩვენ აქ ვართ, ვიცავთ საყდრისს და პარალელურად ვეძებთ ტაძრებს, ისტორიულ ძეგლებს, ნამოსახლარებს“, — აცხადებს For.ge-სთან საუბრისას **ნინო მიქიაშვილი**.

„საყდრისთან ერთად იქვე მდებარე ტაძრებსა და თამარის დროინდელ წყაროსაც დავიცავთ“

— როგორც ვიცი, საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროდან ძალიან ახლოს, აბულმუგის ისტორიულ ხეობაში ეკლესიას მიაგენით, ასევე - კვირაცხოვლის ქედის წვერზე ნაგებობის ნაშთსა და კიდევ არაერთ ისტორიულ ნაშთს. გარდა ამისა, თამარის დროინდელი საკვირველი წყაროც გიპოვიათ, თავის რეზერვუარებით. კონკრეტულად რას გვეტყვი ამ ძეგლების შესახებ და თქვენი პროტესტის მიუხედავად, რატომ ვერ მოხერხდა, რომ ეს ყველაფერი განადგურების საფრთხის წინაშე აღარ იყოს?

— აბულმუგის ხეობაში მდებარე კვირაცხოვლის ქედზე კომპანია „არ ემ ჯი გოლდი“ მადანს ღია კარიერული წესით (აფეთქებებით) მოიპოვებს. შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლებსა და ნამოსახლარებს განადგურების საფრთხე ემუქრებათ. იქვე, რამდენიმე მეტრში სამსხვრევი წისქვილი და გამოსატუტი მოედნები აქვთ მოწყობილი, სადაც ასევე, ღია წესით ხდება მადნის გამოტუტვა ციანიდის საშუალებით. აბულმუგის ხეობაში არსებული ისტორიული ნაგებობებისა და ტაძრების ირგვლივ ცნობები ძალზე მწირია. ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე ტაძრისა და ისტორიული ნაგებობის ნახვა-გადაღება შევძელით, რადგან აბულმუგის ისტორიული ნამოსახლარი დღეს „არ ემ ჯი გოლდის“ სალიცენზიო ტერიტორიად ითვლება და იქ ამავე კომპანიის თანამშრომლების გარდა არავის უშვებენ. მაგალითად, თამარის წყარო რომ გვენახა, შემოვლითი გზით ექვსი საათი ვიარეთ და თითქმის ამდენივე დაგვჭირდა უკან დასაბრუნებლად. არ იფიქროთ, რომ ჩვენს გარდა არავის უნახავს ან წყარო, ან ეს ძეგლები. ადგილობრივებმა ამის შესახებ კარგად იციან. ნანგრევების, ისტორიული ძეგლების, ტაძრების შესახებ ყველაზე მეტი ინფორმაცია აქვთ მწყემსებს. წინასწარ არ ვამბობ, მაგრამ უახლოეს დღეებში კიდევ ერთ საინტერესო ამბავს გაცნობებთ. გადავიღებთ ვიდეოს, ფოტოს და გამოვაქვეყნებთ.

რა შეეხება „არ ემ ჯი გოლდს“, აბულმუგის ტერიტორიაზე ამ წუთას მიმდინარეობს მადნის ამოტუტვა, იქ მოედნებია გაშლილი და გზა გადაკეტილი აქვთ, „არ ემ ჯი გოლდს“ პოსტები აქვს გაკეთებული და არავის უშვებენ. ამიტომ შემოვლითი გზით გვიწევს სიარული, ძირითადად დავდივართ მე და ირაკლი ლომიძე, თუმცა, დათო მახნიაშვილიც ჩვენთან ერთად იყო, როცა წყარო აღმოვაჩინეთ. ჩვენ ამას ვეძახით სპეცოპერაციას, რადგან დაახლოებით 6-9 საათი, შეიძლება, ათი საათიც დავდივართ, თითო ძეგლი რომ ვნახოთ, დავდივართ ტყე-ტყე, შემოვლითი გზებით, რომ „არ ემ ჯი გოლდის“ პოსტი არ დაგვხვდეს, აქ არც წყალია, არც არაფერი. ეს ტყე ისეთია, ფეხზე წამომდგარი მკვდარიო, რომ იტყვიან, ჩიტის ხმაც აღარ ისმის, სიჩუმეა, ყველაფერი გადათეთრებულია ამ მტვრისგან, რადგან მადანს ღია კარიერული წესით მოიპოვებენ, აფეთქებები და საშინელი მტვერია. ამ ტყეში უკვე ციანიდის სუნია, ციანიდის სუნი ჩვენთანაც იგრძნობა. რაც იქ ციანირება დაიწყეს, ჩვენგან ეს დაახლოებით 700 მეტრშია და გვაქვს დაბალი სიცხე და მრავალი სიმპტომი, რომლის ჩამოთვლასაც აღარ მოვყვები. თუ ვინმეს ამაში ეჭვი შეეპარება, რომ ეს ასეა, ჩამოვიდეს ჩვენთან, აქ გაჩერდეს დაახლოებით ერთი კვირა და საკუთარ თავზე გამოსცადოს, ჯანმრთელობაზე როგორ აისახება ის, რასაც „არ ემ ჯი გოლდი“ აკეთებს. ჩვენსა და ციანირების მოედანს შორის საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროა, რომელიც ისევ ოკუპირებული აქვს „არ ემ ჯი გოლდს“. სხვათა შორის, კულტურის ახალმა მინისტრმა

— მიხეილ გიორგაძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საყდრისის დამცველთა მიერ ერთხელ უკვე მოგებული პროცესი. მისი პირველი ნაბიჯი სწორედ ეს იყო მინისტრის რანგში და ეს არის სამარცხვინო მინისტრი სამარცხვინო საქციელით.

— ხომ არ ფიქრობ, ამ საქმეში უმჯობესია საპატრიარქოც ჩაერთოს, რადგან საუბარია საეკლესიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.

— ეკლესია ჩარეულია ამ საქმეში, ისინი ორჯერ იყვნენ ჩამოსულნი. ტაძრები თუ ისტორიული ძეგლები, მრავალი დანგრეული ეკლესია, მონასტერი თუ სამონასტრო კომპლექსი გვაქვს გადაღებული. ჯამში, მათი რიცხვი თერთმეტია. პარალელურად, ადგილობრივები გვყავს ჩაწერილი, რომლებიც ამბობენ, რომ ამ ტაძრების ნაწილი შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, გადახურულიც იყო და ამ წლების განმავლობაში, მიმდინარე აფეთქებებმა ჩამოშალა და გააუბედურა. ცხადია, ამას ემატება ჟამთა სვლაც, რაც კარგს არაფერს მოიტანდა. არ ვამბობ, რომ ეს მაინცდამაინც შარშან და შარშანწინ მოხდა.

— „არ ემ ჯი გოლდი“ საკუთარ ბრალეულობას გამორიცხავს და მომხდარს „ისტორიულ დაბინძურებას“ უწოდებს.

— თუ ამაში გულისხმობენ, რომ აბულმუგის ტერიტორიაზე განთავსებული მოედნებიდან იწამლება დმანისი და გარშემო მცხოვრები მოსახლეობა, ამას „ისტორიულ დაბინძურებას“ ნუ აბრალებენ, რადგან ახლახან დაიწყო ციანირება, ამიტომ ზღაპრებს ნუ ყვებიან და სიცრუის ტირაჟირებას ნუ ახდენენ. ეკლესიას რაც შეეხება, საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების საბჭოს სპეციალური სხდომაც გაიმართა ამ ტაძრებთან დაკავშირებით. მისი უწმინდესობაც საქმის კურსშია, მეუფე დავით ალავერდელია ამ საბჭოს ხელმძღვანელი. მე თვითონ ვესწრებოდი ამ საბჭოს. ისე არ არის, რომ საპატრიარქო არ იყოს საქმეში ჩარეული. სასულიერო პირები კიდევ ჩამოვლენ და არა მარტო ისინი, ადგილობრივი მეუფეც საქმის კურსშია.

> **კულტურის ახალმა მინისტრმა — მიხეილ გიორგაძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საყდრისის დამცველთა მიერ ერთხელ უკვე მოგებული პროცესი. მისი პირველი ნაბიჯი სწორედ ეს იყო მინისტრის რანგში და ეს არის სამარცხვინო მინისტრი სამარცხვინო საქციელით.**

— თამარის დროინდელ საკვირველ წყაროს თუ აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი?

— არანაირი სტატუსი არ აქვს. ამის შესახებ არაერთხელ ოფიციალურად მივმართეთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის დადგენილ ათდღიან ვადას ისინი ამ ჯერზე არ არღვევენ, მაგრამ ამომწურავ ინფორმაციას არ იძლევიან. მაგალითად, როცა კაზრეთის და მთელი ტერიტორიის პასპორტიზაციის მონაცემები მოვითხოვე, წარმოიდგინეთ, მომცეს 1952 წლის მონაცემები და მომწერეს, ამის გარდა ჩვენთან არაფერი ინახებაო. ამ დროს სპეციალისტები, რომელთაც გარკვეული აღწერები აქვთ გაკეთებული და პასპორტებიც აქვთ შედგენილი, მეუბნებიან, რომ 70-იანი წლების ბოლოსაც აქ პასპორტიზაცია ჩატარდა. ამას ჰქვია ინფორმაციის დამალვა.

მე მაქვს არაოფიციალურად მოპოვებული ოფიციალური ინფორმაცია დმანისის და ბოლნისის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხის შესახებ, სადაც საერთოდ არ არის თამარის წყარო ნახსენები. მეტსაც გეტყვი, „არ ემ ჯი გოლდი“ სანამ დაიწყებდა ამ ტერიტორიაზე გამოსატუტი უბნების მშენებლობას, მანამდე არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობდა ირინე ღამბაშიძის ხელმძღვანელობით. აღნიშნულ არქეოლოგიურ ანგარიშში ეს წყარო არ არის ნახსენები, მე ირინე ღამბაშიძესაც ვეესაუბრე, მან მითხრა, შემოსაზღვრული გვქონდა გარკვეული მონაკვეთი და იმას ვერ გავცდებოდითო. იქ რაც ნახეს, ის დაწერეს კიდეც, მაგრამ ზოგადად, წყაროს შესახებ ქალბატონ ირინესგან შევიტყვე. ისიც ვიცოდი, რომ ირინეს შემდეგ „არ ემ ჯი გოლდმა“ არქეოლოგიური სამუშაოები ვახტანგ ლიჩელს დაუკვეთა. ლიჩელის ანგარიში არ გამოაჩინა სააგენტომ, არადა, ვალდებული იყო, მოეცა. სამაგიეროდ, არაოფიციალური გზით მოვიპოვე ლიჩელის ანგარიში. ამ ანგარიშში წყაროს ხსენება არ არის. რამდენადაც ვიცი, კიდევ მრავალი რამ არ შეუტანია ლიჩელს იმ ანგარიშში. სამაგიეროდ, ჩვენ გადავიღებთ ყველაფერს და მერე გამოვააშკარავებთ, ვამხელთ ლიჩელსაც და სხვებსაც.

— რამდენად დაიცავდა ძეგლის სტატუსი წყაროს და სხვა ძეგლებს და ხომ არ იყო ეს გამიზნული პროცესი? თუ მოხდება ამ საქმეში ძეგლთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, იუნესკოს ჩართვა, რომლებიც მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებას ცდილობენ?

— ამჟამად საყდრისის დამცველთა აქციაში მე და ირაკლი მარტონი ვართ. აქ არ გვაქვს შესაძლებლობა, რომ უფრო კომპეტენტურ ადამიანებს ვკითხოთ აზრი. უახლოეს დღეებში მოვდივართ თბილისში, რომ კომპეტენტურ ადამიანებს შევხვდეთ, კანონებშიც ჩავიხედავთ, საგენტოსაც მივაკითხავთ. მაგ სამარცხვინო მინისტრსაც მივმართავთ. **სამარცხვინო კია, მაგრამ მაინც მინისტრია და ჯერჯერობით ეგ განკარგავს კულტურული მემკვიდრეობის ბედ-ილბალს.** ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ისტორიული წყარო გადარჩეს. თორემ, ხომ ხედავთ, სტატუსი ჰქონდა მინიჭებული საყდრისს და მაინც როგორ გაუბედურეს და რა დღეში ჩააგდეს?! ყველაფერს დაცვა და ბრძოლა სჭირდება. ჩვენ უკან არ დავიხევთ და, როგორც საყდრისს ვიცავთ, ასევე, ვიზრუნებთ თამარის წყაროსთვის და იმ ტაძრისთვის, რომელიც კვირაცხოვლის ქედის ძირშია და უკვე შუაზეა გადაპობილი. ასე თუ გაგრძელდა, ის ჩამოინგრევა და უბედურება დაემართება ყველა ისტორიულ ძეგლს, რაც აბულმუგის ტერიტორიაზეა. საერთაშორისო ძეგლთა დაცვის ორგანიზაციებს აუცილებლად ჩავრთავთ ამ საქმეში, რადგან ჩვენ ვიდეოებიც გადაღებული გვაქვს და ვიდეოში ეს ყველაფერი მკაფიოდ ჩანს. ეს მხარე ისეთია, რომ, როცა ამ ქვეყანას პატრონი ეყოლება, მთელი მხარე მუზეუმად უნდა გადაიქცეს.

მანანა ნოზაძე

სატენდერო მოწვევა

საქართველო
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტი (SLRP III) (P148048)
სატენდერო მოწვევა # SLRP III/CW/NCB-01 (I ლოტი & II ლოტი)

შიდასახელწიფოებრივი მნიშვნელობის ნოსირი – გეჯეთი – ნოქალაქევის გზის კმ11+520 – კმ16 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები – I ლოტი; შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნოქალაქევი – ლეძაძამე – დიდი ჭყონის გზის კმ1 – კმ7 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები – II ლოტი

1. საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკის დაფინანსება შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტისთვის (SLRP III). აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება შიდასახელწიფოებრივი მნიშვნელობის ნოსირი – გეჯეთი – ნოქალაქევის გზის კმ11+520 – კმ16 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების _ I ლოტი; შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნოქალაქევი – ლეძაძამე – დიდი ჭყონის გზის კმ1 – კმ7 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების _ II ლოტი ასანაზღაურებლად.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, რათა წინასწარი და მიწის სამუშაოების განსახორციელებლად და საფარის სარეაბილიტაციოდ დალუქული კონვერტებით წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდია I ლოტისთვის 12 თვე და II ლოტისთვის 12 თვე.

3. სამუშაოების წინასწარი ღირებულება შეადგენს **I ლოტისთვის 1,618,469.00 ლარს და II ლოტისთვის 4,355,565.00 ლარს,** ყველა სახის გადასახადის და სახელმწიფო მოსაკრებელის ჩათვლით, როგორც ეს წარმოდგენილია ინსტრუქციის 14.7 ქვეთავში. თუმცა, ტენდერში მონაწილის პასუხმისგებლობაა წარმოდგენილი სატენდერო ფასი, რომელიც შესაძლებელია იყოს წინასწარ ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი, შეესაბამებოდეს ადგილობრივი საბაზრო ფასებს და აგრეთვე გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების ღირებულებაზე.

4. სამუშოების შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი)" და სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად ღიაა მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პრეტენდენტისთვის.

5. დაინტერესებული, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად უნდა დაუკავშირდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსს ბ-ნ ვახტანგ რაზმაძეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

6. პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიაროს საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

I ლოტი

ა. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ 2,400,000 (ორი მილიონ ოთხასი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით;

ბ. ძირითადი კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში მინიმუმ ერთ ობიექტზე ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშოებს (სამუშოთა მინიმუმ 80% დასრულებული უნდა იყოს) ღირებულებით არა ნაკლებ 1,280,000 (მილიონ ორას ოთხმოცი ათასი) ლარის ოდენობით;

გ. არანაკლებ 35,000 მ² ასფალტ–ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშოების შესრულება რომელიმე ერთ წელს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში.

დ. ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების, გარდა ავანსისა, ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ 270,000 (ორას სამოცდაათი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით.

ვ. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია III ნაწილში – სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმი.

II ლოტი

ა. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ 6,500,000 (ექვსი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით;

ბ. ძირითადი კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში მინიმუმ ერთ ობიექტზე ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშოებს (სამუშოთა მინიმუმ 80% დასრულებული უნდა იყოს) ღირებულებით არა ნაკლებ 3,440,000 (სამი მილიონ ოთხას ოთხმოცი ათასი) ლარის ოდენობით;

გ. არანაკლებ 50,000 მ² ასფალტ–ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშოების შესრულება რომელიმე წელს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში.

დ. ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების, გარდა ავანსისა, ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ 720,000 (შვიდად ოცი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით.

ვ. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია III ნაწილში – სატენდერო დოკუმენტაციის შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმი.

7. დაინტერესებულ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის ინგლისურ ენაზე შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან აშშ დოლარში მისი ექვივალენტის გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

ეროვნულ ვალუტაში გადახდისთვის:
მიმღები: ხაზინის ანგარიში
ხაზინის ანგარიშის №200 122 900
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: **TRESGE22**
ბანკის ძველი კოდი (220 101 222)
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302 007 800
სავალუტე ანგარიშის №001 189 362
აშშ. დოლარში გადახდისთვის:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
მიმღები აგენტი:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
ბენეფიციარი ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი
SWIFT CODE: BNLNGE22
ბენეფიციარი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი)
IBAN: GE65NB0331100001150207

გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის (მითითებული იქნას ს/გზის მონაკვეთის დასახელება).

მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტებს საკუთარი ხარჯებით კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ დოკუმენტაცია.

8. სატენდერო წინადადებები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 18 სექტემბრის 17:00 საათისა** ადგილობრივი დროით. წინადადებები ელექტრონული ფორმატით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები გაიხსნება პრეტენტენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პირადად დაესწრონ ტენდერს **2014 წლის 18 სექტემბერს 17:00 სთ-ზე ადგილობრივი დროით.**

9. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში (ანუ 90 დღე+28 დღე=118 დღე). ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს ინსტრუქციის 19.8 პუნქტს, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

10. დამკვეთის მისამართი, სადაც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებები:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის გამზირი №12, 0160 თბილისი, საქართველო
ბ-ნი ვახტანგ რაზმაძე, საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
ტელ: + (995 32) 37-05-08 დამ. 305
ფაქსი: + (995 32) 31-30-34
ე-ფოსტა: **info@georoad.ge**
ვებ-გვერდი: **www.georoad.ge**

INVITATION FOR BIDS

Georgia
Third Secondary and Local Roads Project (SLRP III) (P148048)
Bid Invitation No: SLRP III/CW/NCB-01 (Lot I & Lot II)
Rehabilitation of the Secondary road Nosiri-Gejeti-Noqalaqevi km 11+520– km 16_Lot – I; Rehabilitation of the Secondary road Noqalaqevi-Ledzadzame-Didi Chkoni km 1– km 7 _Lot - II

1. Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Third Secondary and Local Road Project (SLRP III) and intends to apply part of the proceeds to eligible payments for contract for "Rehabilitation of the Secondary road Nosiri-Gejeti-Noqalaqevi km 11+520– km 16 _Lot – I; Rehabilitation of the Secondary road Noqalaqevi-Ledzadzame-Didi Chkoni km 1– km 7_Lot – II.

2. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids in sealed envelopes for execution of preliminary and soil works and rehabilitation of pavement. Implementation period for execution of rehabilitation works is 12 months for Lot I and 12 months for Lot II.

3. The estimated cost of proposed works is **GEL 1,618,469.00 for Lot-I and GEL 4,355,565.00 for Lot-II, including** all taxes, duties and other governmental levies as elaborated under clause ITB - 14.7. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors which may influence the pricing of the proposed works.

4. Procurement of works will be conducted through the procedures of National Competitive Bidding as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers (January, 2011) and is open to all eligible bidders as defined in the guidelines.

5. Interested eligible bidders who wish to receive any additional information and inspect the bidding documentation should contact Mr. Vakhtang Razmadze, Head of Foreign Projects Department of the Roads Department of Georgia at the address below during 10:00 A.M till 17:00 P.M.

5. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract for Lot I and Lot II:

Lot I

a. average annual construction turnover of at least 2,400,000 GEL (Two Million Four Hundred Thousand Georgian Laris) or equivalent over the last 5 (five) years;

b. experience as prime contractor in the construction of at least one work of a nature and complexity equivalent to the works over the last 3 (three) years (at least 80 % of works should be complete) with a value of at least 1,280,000 GEL (One Million Two Hundred Eighty Thousand Georgian Laris);

c. at least 35 000 m² of pavements rehabilitation works executed in any one year during the last 3 (three) years.

d. the evidence that the bidder is not involved in any litigation with regard to its bankruptcy, reorganization or liquidation;

e. Liquid assets and/or credit facilities, net of other contractual commitments and exclusive of any advance payments which may be made under the Contract, of no less than 270,000 GEL (Two Hundred Seventy Thousand Georgian Laris) or equivalent.

f. Additional Qualification Criterion as defined in Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.

Lot II

a. average annual construction turnover of at least 6,500,000 GEL (Six Million Five Hundred Thousand Georgian Laris) or equivalent over the last 5 (five) years;

b. experience as prime contractor in the construction of at least one work of a nature and complexity equivalent to the works over the last 3 (three) years (at least 80 % of works should be complete) with a value of at least 3,440,000 GEL (Three Million Four Hundred Forty Thousand Georgian Laris);

c. at least 50 000 m² of pavements rehabilitation works executed in any one year during the last 3 (three) years.

d. the evidence that the bidder is not involved in any litigation with regard to its bankruptcy, reorganization or liquidation;

e. liquid assets and/or credit facilities, net of other contractual commitments and exclusive of any advance payments which may be made under the Contract, of no less than 720,000 GEL (Seven Hundred Twenty Thousand Georgian Laris) or equivalent.

f. Additional Qualification Criterion as defined in Section III – Evaluation and Qualification Criteria of Bidding Documents.

7. A complete set of bidding documentation in English language may be purchased by interested applicants on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD. The method of payment will be by the direct deposit to the following account:

For GEL transfer:
Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

For USD transfer
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: (Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia)
IBAN: GE65NB0331100001150207

Payment Designation: Tender fee for the Roads Department (Insert road section name)

If requested, the documents will be sent by courier service at the applicant's expense.

8. The Bids should be delivered at the address below not later than **September 18, 2014, 17:00 Hours local time.** Electronic versions of the bids are not acceptable. Late bids will not be accepted. The bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend bid opening on, **September 18, 2014, 17:00 Hours local time.**

9. All bids should be submitted together with the Bid Security Declaration. Bid Security Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (i.e., 90 days+28 days = 118 days). For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.

10. The Employer's address for the purpose of Bid submission is:
Roads Department of the Ministry of Regional Development and
Infrastructure of Georgia
Mr. Vakhtang Razmadze, Head of Foreign Projects Department
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 322) 37-05-08 ext.305
Fax: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad,ge
Web Site: www.georogad.ge

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

თბილისი მზადაა ითანამშრომლოს აფხაზეთის ახალ ლიდერთან

საარჩევნო პროცესი შავი ზღვის რესპუბლიკაში გარედან ჩარევის გარეშე მიმდინარეობს

ოფიციალური **თბილისი არ განაცხადებს პროტესტს იმის გამო, რომ 22 ათას ქართველს, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობენ, ჩამოართვეს საარჩევნო უფლება. 24 აგვისტოს ისინი ვერ შეძლებენ, მიიღონ მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნებში. საქართველოს ხელისუფლებას მიაჩნია: აფხაზეთის ტერიტორია ოკუპირებული რუსეთის ჯარების მიერ, მაშასადამე, პასუხისმგებლობა ყველა მისი მცხოვრების პოლიტიკური უფლებისათვის მოსკოვს ეკისრება.**

შერიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, — „მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები, რომლებიც მიმდინარეობს აფხაზეთში, არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართალს და მისი შედეგები არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ლეგიტიმურად, ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, თუ რა ხდება აფხაზეთის ტერიტორიაზე“.

„მთავარია, რომ საარჩევნო პროცესი იყოს მშვიდობიანი, ძალადობრივი მოქმედებების გარეშე, რაც ახლდა ზოგიერთ წინა არჩევნებს აფხაზეთში, რომ არ იყოს არანაირი ექსცესი“, — თქვა ზაქარეიშვილმა. მან განაცხადა, რომ თბილისი მზადაა, აწარმოოს მოლაპარაკება აფხაზეთის საზოგადოების ნებისმიერ ლიდერთან მიუხედავად იმისა, თუ ვინ გაიმარჯვებს 24 აგვისტოს. **„ჩვენთვის მნიშვნელოვანია ასეთი თანამშრომლობა. თანაც ჩვენ არ ვსაუბრობთ არჩევით თანამშრომლობაზე, არამედ შევეცდებით, მოვაწესრიგოთ ურთიერთობანი იმ ლიდერთან, რომელიც შეძლებს და ისაუბრებს მოსახლეობის სახელით აფხაზეთის ტერიტორიაზე და ექნება ასეთი უფლებამოსილებანი“,** — თქვა პაატა ზაქარეიშვილმა.

სახელმწიფო მინისტრმა არ შეაფასა საარჩევნო უფლებათა დარღვევის ფაქტი აფხაზეთის ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის. **„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ არ დაირღვეს ამ ადამიანების ჰუმანიტარული უფლებები, პოლიტიკურ უფლებათა ასპექტს კი ჩვენ არ განვიხილავთ. ეს ტერიტორია რუსეთის ძალების ოკუპაციაში იმყოფება. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ სიტუაციას იქ მართავს მოსკოვი. ამიტომ სწორედ იგია პასუხისმგებელია დარღვევებისათვის ან ყველა იმ ხალხის პოლიტიკური უფლებების დაცვისათვის, რომლებიც ამ ტერიტორაიზე ცხოვრობენ“,** — თქვა ჩვენთან საუბარში პაატა ზაქარეიშვილმა.

აფხაზი პოლიტოლოგი იბრაგიმ ჭკადუა ქართველებისთვის ხმის უფლების ჩამორთმევას ტყვარჩელისა და გალის რაიონებში ამ ეტაპზე მიიჩნევს კანონზომიერად, ვინადიან მათ, გარდა აფხაზური მოქალაქეობისა, აქვთ საქართველოს მოქალაქეობაც. ადგილობრივი კანონმდებლობით კი მეორე მოქალაქეობა შეიძლება იყოს მხოლოდ რუსეთისა. **„ამასთან კანონის დარღვევა ორმაგი აღმოჩნდა. მოქალაქეობის საკითხები მხოლოდ აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა, ამ ხალხზე კი აფხაზური პასპორტები გასცეს რაიონულ ადმინისტრაციასთან სპეციალურად შექმნილმა კომისიებმა“,** — უთხრა ჩვენს გაზეთს ჭკადუამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთის მოქალაქეობა არ ჩამოერთმევა იმ პირთა კატეგორიას, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში ვერ მიიღებენ საარჩევნო უფლებებს. ისინი მიიღებენ საცხოვრებელ ადგილს, შემდეგ კანონის შესაბამისად, ხელისუფლება განიხილავს მოქალაქეობის აღდგენის საკითხს ყველა უფლების სრული დაცვით. ეს მოხდება მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდება აფხაზეთის მეოთხე პრეზიდენტის სახელი და ჩამოყალიბდება მთავრობა.

პრეტენდენტი უმაღლეს სახელმწიფო პოსტზე ოთხი კაცია, და ყველა მათგანი ძალოვანია: აფხაზეთის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი, იგივე ყოფილი თავდაცვის მინისტრი, ექს-პრემიერ-მინისტრი და ექს-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, შინაგან საქმეთა ექს-მინისტრი ლეონიდ ძიაპშბა, უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ასლან ბჟანია, თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ ქიშმარია. საარჩევნო კამპანიის მონაწილე შეიძლებოდა ყოფილიყო ხუთი კაცი, მაგრამ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბესლან ეშბა არ დაარეგისტრირა კანდიდატად, ვინაიდან აფხაზური ენის მისი ცოდნა არ შეესაბამებოდა აუცილებელ დონეს.

ფავორიტად კვლავ რაულ ხაჯიმბა ითვლება, რისთვისაც ამჟამინდელი არჩევნები იქნება მეოთხე მცდელობა, სათავეში ჩაუდგეს რესპუბლიკას. უკანასკნელი გამოკითხვის მონაცემების თანახმად, მას მიუახლოვდა ასლან ბჟანიაც. წინასწარი მონაცემებით, მისცენ ხმა ხაჯიმბას მზად არის ამომრჩეველთა დაახლოებით 42 პროცენტი, ბჟანიას — 33 პროცენტი. ორი სხვა კანდიდატი — ქიმშარია და ძიაპშბა ჩამორჩნენ ამ დუეტს.

„მეორე ტურის მოწყობა დიდ ალბათობად მიმაჩნია“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში სოხუმელმა პოლიტოლოგმა ინალ ხაშიგმა. ვითარებას აფხაზეთში მან უწოდა მშვიდი, რომელსაც არ ახასიათებს საგარეო ჩარევის თუნდაც მცირე სიმპტომი. **„გასული წლების ზოგიერთი არჩევნებისაგან განსხვავებით, აფხაზეთის საზოგადოება არ ღებულობს, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, არანაირ მესიჯებს მოსკოვიდან, თურქეთიდან. დუმს საქართველოც კი, რომელიც საერთოდ, განცხადებებითაც კი, არ ახდენს რეაგირებას მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ამჯერად, თუ არაფერი მოხდება, აფხაზეთის საზოგადოება „კარნახის გარეშე“ უცხოეთიდან აირჩევს რესპუბლიკის ხელმძღვანელს, და ეს იქნება ჩვენი ხალხის წმინდა არჩევანი“,** — მიაჩნია ხაშიგს.

პოლიტოლოგი საკმაოდ პოზიტიურად აფასებს საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას, აღნიშნავს, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, ყველა კანდიდატს მართლაც აქვს აგიტაციის წარმოების ერთნაირი შესაძლებლობანი.

„ვერ შევნიშნე ვერანაირი გადახრა რომელიმე მხარეს, არავის გაპიარებას არ ახორციელებს ტელევიზია, არ არსებობს ფარული რეკლამებიც კი“, — თქვა ინალ ხაშიგმა. მაგრამ ამასთან ერთად, მიაჩნია მას, ძველებური დარჩა ელექტორატის დამოკიდებულება არჩევნებისადმი — ხალხი ხმას მისცემს პოლიტიკურ პერსონას, ღრმად არ ჩაეფლობა მის წინასაარჩევნო პროგრამაში. **„არჩევნები, ჩემი აზრით, იქნება საინტერესო და არც ისე დრამატული, როგორც 2004 წელს, როდესაც ამ არჩევნებმა ლამის საზოგადოების გათიშვასთან არ მიგვიყვანა“,** — თქვა ხაშიგმა.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

◎ ალიანჩალიანი

რუსეთმა შეიძლება ემბარგო დაგვიწესოს

საქართველოს **საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე რუსეთის მხრიდან მორიგ ემბარგოს არ გამორიცხავს, თუმცა, განმარტავს, რომ ასეთ შემთხვევაში საქართველო ახალ ვითარებას მოერგება.**

„საქართველომ ძალიან ბევრი გააკეთა, რათა აღდგენილიყო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან. ეს არის წარმატება აბაშიძე-კარასინის ფორმატისა. რასაკვირველია, არ არის გამორიცხული ახალი ემბარგო, თუმცა თუკი ეს ისევ განმეორდება, ჩვენ შევეგუებით და მოვერგებით ახალ სიტუაციას“, — განუცხადა მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს. რაც შეეხება მედიის კითხვას, რატომ არ უერთდება საქართველო რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, საგარეო საქმეთა მინისტრის განმარტებით, ამ შემთხვევაში ის ეთანხმება პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის პოზიციას, რომლის აზრითაც, საქართველოს რუსეთთან იმ მასშტაბის ტვირთბრუნვა არ აქვს, რომ სანქციას აზრი ჰქონდეს.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ სიტუაცია, რომელიც რეგიონში რუსეთის კონტექსტშია შექმნილი, დიპლომატიური ძალისხმევით უნდა დარეგულირდეს.

„სამწუხაროა, რომ ბერლინში გუშინდელი შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა, მაგრამ ვფიქრობ, ეს არის ერთადერთი სწორი გზა, სწორედ ასეთი შეხვედრებით და დიპლომატიური ძალისხმევით უნდა მოხდეს სიტუაციის დარეგულირება„„ — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

უკრაინის კრიზისის დარეგულირების თაობაზე, გუშინ ბერლინში ოთხმხრივი მოლაპარაკებები გაიმართა. მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ რუსეთის, უკრაინის, გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები.

შეხვედრა 5 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა და, როგორც მხარეებმა აღნიშნეს, მას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.

ინტერპრესი

დედამიწის ზურგზე

ამერიკულ ფერგიუსონში უწესრიგობანი არ წყდება - ხელისუფლებამ გააგრძელა კომენდანტის საათი

უწესრიგობანი ქალაქში გრძელდება უკვე ერთ კვირაზე მეტია თეთრი პოლიციელის მიერ შავკანიანი მოზარდის მკვლელობის შემდეგ. მედიკოსებმა ხელმეორედ გაკვეთეს დაღუპულის სხეული და გამოარკვიეს, რომ მას ესროლეს სულ ცოტა ექვსჯერ ახლო მანძილიდან.

სამხრეთმა კორეამ და აშშ-მა ყოველწლიური სამხედრო სწავლება დაიწყეს, ფხენიანი იმუქრება „დაუნდობელი დარტყმით“

ამერიკელი და სამხრეთკორეელი სამხედროები პირველად დაამუშავებენ ბირთვული დარტყმის თავიდან აცილების ტაქტიკას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან, რომელიც დაამუშავეს შარშან ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრების დონეზე. ჩრდილოეთ კორეაში აცხადებენ, რომ ეს სწავლება არის მზადება ბირთვული ომისათვის და იმუქრება, განახორციელონ აგრესია „ცეცხლისა და ფერფლის ზღვაში“.

ობამამ მორიგი ავიაიერიკრიტყმა ერაყზე ამერიკელი მოქალაქეების დაცვის მისწრაფებით ახსნა

ერაყის პოზიციების დაბომბვაზე ნებართვა გაიცა იმ მიზნით, რომ არ მისცენ შესაძლებლობა ბოევიკებს, აიყვანონ თავიანთ კონტროლზე ჯიბირი მოსულას მახლობლად: მის დანგრევას შეიძლებოდა საფრთხის ქვეშ დაეყენებინა მრავალი სამოქალაქო მცხოვრებლის სიცოცხლე, აგრეთვე ამერიკის საელჩოს თანამშრომლებისა ბაღდადში. თეთრი სახლის განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ოპერაცია მიმდინარეობს ერაყის ხელისუფლების თხოვნით.

პარიზში შეიარაღებულმა მძარცველებმა, როდესაც თავს დაესხნენ საუდის პრინცის კორტეჟს, გაიტაცეს 250 ათასი ევრო

პრესის მონაცემებით, ინციდენტი მოხდა პარიზის შესასვლელში. თავდასხმა ავტომობილზე, რომელიც საუდის არაბეთის საელჩოს ეკუთვნოდა, მოახდინა რამდენიმე კაცმა, რომლებიც ავტომატებით იყვნენ შეიარაღებული. ფულის გარდა მათ გაიტაცეს ავტომობილი, აგრეთვე დიპლომატიური მისიის დოკუმენტები და პრინცის პირადი ნივთები.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲘᲚᲣᲔᲢᲔᲑᲘ



ᲯᲔᲠᲨᲘ ᲓᲐᲣᲜᲯᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲔᲠᲐᲓᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲕᲐᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲛᲝᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ, ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲡᲮᲕᲔᲜᲨᲘ ᲐᲥᲕᲡ �გᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ ᲓᲘᲓ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲤᲔᲠᲛᲬᲔᲠᲘᲡ ᲔᲓᲛᲝᲜᲓ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔᲡ. ᲐᲥ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲘᲒᲘ ᲠᲐᲮᲐᲜᲘᲐ, ᲐᲥ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ...

აქ მიმიღო მეც.

ვათვალიერებ კედლებზე მიმოფენილ განსაცვიფრებელ ფერადოვნებას – ჩემი მასპინძლის ნიჭიერების დასტურს. რაღაც-რაღაცები უკვე ვიცი ბატონი ედმონდის შესახებ. მაგალითად ის, რომ მხატვრობა მამამ შეაყვარა. მამა კი ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი, დიდად განათლებული პიროვნება ლავროსი კალანდაძე იყო. დედით ნაადრევად დაობლებული ბიჭუნა მამას მოსკოვში წაუყვანია. იქ სამხატვრო მუზეუმების თვალიერება, ცხადია, დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა მოზარდზე და ედმონდიც ნელ-ნელა შესჩვევია ფანქრებსა და საღებავებს... ასე თანდათან გახდა მხატვრობა მისი პროფესია...

მეზობელი ოთახიდან სახელოსნო-დარბაზში შემოდის ბატონი ედმონდი. წინსაფარი გაუხდია, ასე ვთქვათ, „საგარეოდ“ გამოწყობილა და ღიმილით მიახლოვდება, ჩამოვსხედით.

– ბატონო ედმონდ, როორც ვიცი, თქვენთვის, დედით ადრე დაობლებულისთვის, მამა იყო ყველა სიკეთის მასწავლებელი...

– მაშ...მამა ბევრ რამეს მასწავლიდა, ხშირად ცხარედაც გვიკამათია სახვითი ხელოვნების პრინციპებზე, მრავალ ცხოვრებისეულ საკითხზე. მამა სხვა „ჩამოსხმის“ კაცი იყო – სპეტაკი კომუნისტი, უპატიოსნესი ადამიანი...

– რატომ ვერ გაგაკომუნისტათ?

– არც უცდია, მე ჩემი გზა მქონდა და, ამას, უპირველესად, მამაჩემი გრძნობდა... აი, სამხატვრო აკადემიაში კი ძალიან უნდოდათ ჩემი „მორჯულება“, მაგრამ ვერას გახდნენ და იმით დამსაჯეს“, რომ 14 წელიწადი ვსწავლობდი. იქიდან წავედი საფრენოსნო სასწავლებელში, მერე პირდაპირ ფრონტზე – მფრინავი გახლდით, ჩემო ბატონო... მადლობა ღმერთს, დავბრუნდი თბილისში და ისევ განვაგრძე აკადემიაში სწავლა – ბოლოს და ბოლოს ალექსანდრე ციმაკურიძის სახელოსნო დავამთავრე.

– რას გერჩოდნენ აკადემიაში?

– ფორმალისტი ხარო, ეს არ არის ჩვენი დროის შესაფერისი მხატვრობაო და ასე შემდეგ... არადა, ჩემი თავისთვის არასდროს მიმიცია უფლება, რაღაც სამკუთხედი და ოთხკუთხედი მეხატა. ჩემი სათაყვანებელი იყო ბერძნული და ანტიკური ხელოვნება, ჩემი ფიქრის საგანი იყო ბუნების ყველაზე დიდი უცნობი – ადამიანი და მის მხატვრულ თუ სულიერ თავისებურებებში წვდომას მიშლიდნენ.

– ალბათ, გამოფენებშიც ვერ მონაწილეობდით ადვილად.

– პირველად მოსკოვში გამოეფინა ჩემი ნამუშევრები... ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალი იყო, იქ დამაჯილდოვეს კიდეც და, აცხონა ღმერთმა, გაგიჟდა აკადემიის მაშინდელი რექტორი სერგო ქობულაძე, მიეცით ამ კაცს დიპლომი, სირცხვილიაო...

– ახლა თუ გაქვთ რაიმე კავშირი აკადემიასთან?

– ახლა არა. ისე, უცნაურია, 14 წელიწადს ხომ ვსწავლობდი, აკადემიაში, მოგვიანებით, 14 წელიწადს მე თვითონ ვასწავლიდი, პროფესორი ვიყავი... მიზეზთა და მიზეზთა გამო – წამოვედი. ძალიან უნდოდათ ახალგაზრდებს, ჩემს სტუდენტებს, მაგრამ აღარ დავბრუნებულვარ...

– ბატონო ედმონდ, ჩემთვის დიდი ბედნიერებაა თქვენთან საუბარი, როგორც საკუთარი პრინციპების მქონე, თავისუფლებისმოყვარე პიროვნებასთან, ნოვატორ შემოქმედთან, ჩვენი დროის ერთ-ერთ დიდ ხელოვანთან... ჰოდა, საინტერესოა, რატომ დაგძლიათ ცდუნებამ და დათანხმდით კულტურის მინისტრობაზე, ანუ თანამდებობაზე, პრეზიდენტ გამსახურდიას?

– უნდა გითხრათ, რომ ზვიადს პატივს ვცემდი. ეტყობა, ისიც იცნობდა ჩემს შემოქმედებას... მამაჩემი და ბატონი კონსტანტინე მეგობრები იყვნენ... დამირეკა და შემომთავაზა კულტურის მინისტრის პოსტი. რატომ უნდა მეთქვა უარი?.. ბოლოს და ბოლოს, ვიქტორ ჰიუგო იყო საფრანგეთის კულტურის მინისტრი და მე ვინ ვარ?.. სხვათა შორის, არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, არც „მრგვალი მაგიდისა“... მე, რაც, ასე თუ ისე, მესმოდა, ვეცადე, იმ საქმეში დავხმარებოდი გამსახურდიას.

დიდხანს არ ვყოფილვარ. გააქციეს და მეც დავწერე განცხადება გადადგომის შესახებ... თუმცა კი, სამხედრო საბჭოდან, მგონი ჯაბა იოსელიანმა დამირეკა – შენ ხელს ვერავინ გახლებს, იმუშავეო...

– საინტერესოა, დღევანდელი ხელისუფლების კმაყოფილი თუ ხართ?

– ვერ ვითვალთმაქცებ – არ ვარ კმაყოფილი. ძალზე უჭირს ხალხს. კი, ბატონო, მე მესმის, რომ დაინგრა ერთი წყობილება და შენდება სრულიად ახალი ქვეყანა, მაგრამ ელემენტარულ საყოფაცხოვრებო პირობებს საშველი ხომ უნდა დაადგეს?.. ხომ ვარ, ბატონო, მე სახალხო მხატვარი, ომის ვეტერანი, ყოფილი კულტურის მინისტრი... გამოირკვა, რომ უმაღლესი ხარისხის პროფესიონალიც ვყოფილვარ, რახან რუსთაველის პრემიაზე წარმადგინეს, არადა, 11 ლარი მქონდა პენსია და ახლახან მომიმატეს, როგორც ომის ვეტერანს – 43 ლარი გამიხდა. მე კი, ერთი დღე რომ ვიმუშაო, 50 ლარის საღებავი მჭირდება... ხანდახან ნაცნობ-მეგობრები თუ შემომეშველებიან, თორემ უნდა დავიკრიფო გულზე ხელი და ვიყო.. ერთი ფიქრი ვიფიქრე – სურათებს გავყიდი-მეთქი... ვისა აქვს ამის ფული... საგარეო პოლიტიკაში თითქოს უკეთესი მდგომარეობაა... სხვათა შორის, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რომ იყო 1994 წელს საქართველოში, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ჩემი სურათი უსახსოვრა. ცოტა ხნის შემდეგ ანკარიდან დეპეშა მივიღე, რომელსაც ხელს აწერს ბატონი სულეიმან დემირელი. აი, რას წერს იგი:

„1994 წლის 15 ოქტომბერს თქვენს ლამაზ ქვეყანაში სტუმრად ყოფნის დროს, თქვენგან მორთმეული შესანიშნავი საჩუქრისთვის დიდ მადლობას მოგახსენებთ. ზემოთ ხსენებულ სურათს, ხელოვნებათმცოდნეობითი ღირებულების გარდა, ჩემთვის განსაკუთრებული სულიერი ღირებულებაც აქვს....“

გაგიხარდება კაცს, არა?

– რა თქმა უნდა.

* * *

ᲔᲓᲛᲝᲜᲓ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲕᲘᲗᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔᲐ. ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ, ᲔᲧᲠᲓᲜᲝᲑᲐ ᲠᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲠᲬᲔᲠᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲡ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲘᲐᲖᲠᲔᲑᲡ ᲐᲛᲐ ᲗᲣ ᲘᲛ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ.

...ერთი სიამოვნებაა მისი სახელოსნოს თვალიერება, ტკბობა ათასი ფერადოვნებით, რაც მე განვიცადე იმ დღეს.

...ამ შეხვედრიდან კარგა ხანია გასული...

* * *

...**და** აი, ბატონი ედმონდიც წავიდა... დიდუბის მიწამ მიიბარა დამაშვრალი ხელოვანი, რომელმაც მშობელი ხალხის სიყვარული გაიყოლა, ხოლო თაობებს დაუტოვა ნიჭიერებით მადლცხებული მხატვრობა და მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს შენი საქმე, შენი სამშობლო!

ᲕᲘᲚᲔᲜ ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲡ ᲡᲐᲭᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲐ

5 ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲡ�წᲐᲕᲚᲘᲐᲜ

ᲠᲝᲛᲔᲚ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲒᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲗ ᲘᲛᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲗ?

ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ 5 ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ:

INSTITUTE LE ROSEY

ᲡᲘᲘᲡ პირველ ადგილს შვეიცარიაში მდებარე „მეფეების სკოლა“ იკავებს- 6nstitute Le Rosey. ერთი სემესტრის ღირებულება 50 ათასი ევროა. თქვენი შვილი თავს ნამდვილ ჰარი პოტერად იგრძნობს, რადგან სკოლა შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეს ჰგავს.

28 ჰექტარის ტერიტორიაზე განთავსებულია ჩოგბურთის კორტები, საუნები, საჯინიბო, იახტ-კლუბი და სათხილამურო ტრასა. ყველაზე ძვირი სკოლის მოსწავლეებს საჭმელს მსოფლიოში საუკეთესო საბავშვო შეფ-მზარეული უმზადებს.

ETON COLLEGE

ᲑᲘᲭᲔᲑᲘᲡ სკოლა Eton College დიდ ბრიტანეთში მდებარეობს. ერთი სემესტრის ღირებულება კი 27 ათასი ევროა. ეს სკოლა ცნობილია ისეთი კურსდამთავრებულებით, როგორებიც არიან პრინცი უილიამი, პრინცი ჰარი, უინსტონ ჩერჩილი და დევიდ ქემერონი.

COLLEGE ALPIN BEAU SOLEIL

College Alpin Beau Soleil-ში ერთი სემესტრის ღირებულება 48 ათასი ევროა. შვეიცარიაში მდებარე კოლეჯი ძალიან კომფორტულია, რადგან თითოეულ კლასში 8 მოსწავლეზე მეტი არაა და მასწავლებელი თითოეულ მათგანს სათანადო ყურადღებას აქცევს. კოლეჯი პოპულარულია საგანმანათლებლო ექსპედიციებით. ბოლო, მაგალითად, კილიმანჯაროზე იყო.

AIGLON COLLEGE

ᲓᲘᲓ ბრიტანეთში მდებარე Aiglon College ასევე მსოფლიოში ყველაზე ძვირ სასწავლებლად ითვლება, სადაც დიდ ყურადღებას უთმობენ აკადემიურ განათლებასა და დისციპლინას. კლასში 5 მოსწავლეზე მეტი არაა. ერთი სემესტრი კი 43 ათასი ევრო ღირს.

INTERNATIONAL SCHOOL

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚᲘ Gstaad International School ბოლოა ჩვენს სიაში. სკოლა ძირითადად ჰიპერ-აქტიურ ბავშვებს იღებს, სადაც მათთვის განკუთვნილია აუზები, მეკლდეურობისთვის განკუთვნილი დარბაზები, ჩოგბურთის კორტები და სათხილამურო ტრასები. ერთი სემესტრის ღირებულებაა 40 ათასი ევრო.



ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲐᲒᲔᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ ქართველი გმირის გიორგი ანწუხელიძის ინფორმაციით, 30 წლის იუბილე სერჟანტთა მომზადების ცენტრში აღინიშნა. ცენტრის ტერიტორიაზე არსებულ თამარ მეფის სახელობის ეკლესიაში კაპელანმა, მამა გიორგიმ პარაკლისი ჩაატარა.

ცერემონიალზე გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების ცენტრში გმირის სახელზე მემორიალური დაფა გაიხსნა. სამხედრო მოსამსახურეებმა სერჟანტის ოჯახის წევრებს საქართველოს დროშა გადასცეს.

ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელი პირები, ასევე, გმირის თანამებრძოლები და ოჯახის წევრები დაესწრნენ.

სერჟანტთა მომზადების ცენტრში ცერემონიალის დასრულების შემდეგ გიორგი ანწუხელიძის თანამებრძოლები მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე გაემგზავრნენ, სადაც გმირი სერჟანტის საფლავი გვირგვინით შეამკეს.

გიორგი ანწუხელიძე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს გმირულად დაღუპული სამხედრო მოსამსახურეა. სერჟანტი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით, უწყებრივი მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“, მინიჭებული აქვს ეროვნული გმირის წოდება.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

◎ კალათბურთი

ასე იბღალება ავტორიტეტი

პორტუგალიას **რომ საკალათბურთო ქვეყანა ერქვას, ქალაქ ავეირუში საქართველოს ეროვნული ნაკრების მიერ იქაურ გუნდთან „ევრო-2015“-ის საკვალიფიკაციო რაუნდში მოპოვებულ გამარჯვებას სპორტულ გმირობად მოვნათლავდით, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა თანამემამულეთათვის დითირამბების საფრქვევად ნამდვილად არ გვაქვს საქმე. დიახ, „ჯვაროსნებმა“ თავმოყვარეობა შეილახეს და თუ უფსკრულში არ გადაიჩეხნენ, მეტოქეს უნდა უმადლოდნენ, რომელმაც მოახერხა და მოგებული შეხვედრა დათმო.**

პორტუგალია — საქართველო 90:91

(დამატებით დროში, ძირითადი დრო 79:79).

სათქმელი პირუთვნელად უნდა ითქვას: ჩვენ ეროვნული ნაკრები მხოლოდ ფორმალურად გვყავს. მართლაც, კრებულს, სადაც თითქმის ყველაფერი რამდენიმე სოლისტის ინდივიდუალურ ოსტატობაზეა დამოკიდებული და გუნდურ თამაშს გერის როლი აქვს მიჩენილი, ძნელია საამაყო ტრადიციებით გამორჩეული სახელმწიფოს საკალათბურთო სახე უწოდო. თუ ვინმე საპირისპიროში დამარწმუნებს, მადლობას მოვახსენებ.

და ბოლოს: ვიდრე ქართული დელეგაცია ჩეხებთან ხვალინდელი უმნიშვნელოვანესი ბრძოლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდება, თავს უფლებას მივცემ და იგორ კოკოშკოვს, როგორც დილეტანტი გულშემატკივარი, ვურჩევ: ბიჭები საჯარიმოებში ავარჯიშოს და პერიმეტრის გადაკეტვა ასწავლოს, თორემ წინა მატჩების მსგავსად, ამჯერადაც სამქულიანებით დავისეტყვებით.

ჩეხეთი — უნგრეთი 66:63.

I წრის შემდეგ: საქართველო, უნგრეთი, ჩეხეთი — 2-2, პორტუგალია — 0 მოგება.

ხვალ IV ტურში ითამაშებენ: ჩეხეთი — საქართველო, უნგრეთი — პორტუგალია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

XXVI ეროვნული ჩემპიონატი.

II ტური. „დინამო“ — „სიონი“ 1:0, „ტორპედო“ — „დილა“ 0:0, „ჩიხურა“ — „ზესტაფონი“ 2:1, „ზუგდიდი“ — „მეტალურგი“ 0:0, „ბათუმი“ — „კოლხეთი“ 1:0, „ცხინვალი“ — „მერანი“ 1:0, „გურია“ — „შუქურა“ 0:0, „სამტრედია“ — „ვიტ ჯორჯია“ 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ — 6, „ტორპედო“, „დილა“, „შუქურა“, „მეტალურგი“ — 4-4, „ზესტაფონი“, „ვიტ ჯორჯია“, „ბათუმი“, „ჩიხურა“, „სიონი“, „ცხინვალი“, „სამტრედია“, — 3-3, „ზუგდიდი“, „გურია“ — 1-1, „მერანი“, „კოლხეთი“ — 0 ქულა.

III ტურში ითამაშებენ: „ზესტაფონი“ — „დინამო“, „დილა“ — „ბათუმი“ (23 აგვისტო), „სიონი“ — „სამტრედია“, „შუქურა“ — „ჩიხურა“, „მეტალურგი“ — „გურია“, „ვიტ ჯორჯია“ — „ცხინვალი“, „კოლხეთი“ — „ზუგდიდი“, „მერანი“ — „ტორპედო“ (24 აგვისტო).

* * *

ინგლისი. „ლივერპული“ — „საუთჰემპტონი“ 2:1, „ნიუკასლი“ — „სიტი“ 0:2, „მანჩესტერი“ — „სუონსი“ 1:2, „არსენალი“ — „კრისტალ პალასი“ 2:1.

ჰოლანდია. „ალკმაარი“ — „აიაქსი“ 1:3, „ეინდჰოვენი“ — „ბრედა“ 6:1, „ფეიენოორდი“ — „ჰერენვენი“ 1:1.

საფრანგეთი. „პარი სენ-ჟერმენი“ — „ბასტია“ 2:0, „ბორდო“ — „მონაკო“ 4:1, „სენტ ეტიენი“ — „ნიცა“ 3:1.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ჯესიკა ლავეცის არ ეშვება

არგენტინელი **მოდელი ჯესიკა ჩირიო ნამეტანი ყბაღია ქალი ყოფილა და სადაც არაა სალაპარაკო, იქაც კი თავის სათქმელს იძახის. აბა, სხვას რას უნდა მიაწერო ის ფაქტი, რომ ეს ჩვენი ჯესიკა ჩირიო ადგა და მთელს მსოფლიოს გააგებინა, არგენტინელი ფეხბურთელი, ეზეკიელ ლავეცი როგორ ბურღუჯანაობდა მის საძინებელში.**

განსაკუთრებით უცნაურია ის ფაქტი, რომ ჯესიკა ამჯერად არგენტინელ პარლამენტარზეა გათხოვილი და ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, წესით თითქოს თვითონ უნდა დაემალა მისი წარსული და საყვარელმრავლობა. თუმცა, როგორც ჩანს, ეს ქალი „სულ სხვა ცომითაა ნაზელი“.

სხვათა შორის, ჯესიკა ჩირიო ეზეკიელ ლავეცის ორი წლის წინათ დაშორდა და უკანასკნელი ორი წლის მანძილზე არაერთი პარტნიორი გამოიცვალა, ახლა კი გათხოვილი ქალის სტატუსს ატარებს. თუმცა, მასთან მოღლაბუცეებიდან მხოლოდ ლავეცის იხსენებს. ბრავო გვითქვამს, ეზეკიელ ბატონო!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კრივი

2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო

საქართველოს **მოკრივეთა ეროვნულმა ნაკრებმა სოფიაში გამართულ ევროკავშირის ქვეყნების ჩემპიონატზე პირველად იასპარეზა და გამოსვლა 3 მედლით დაასრულა.**

ვერცხლის მედლები გუნდს ლევან გულედანმა (91 კგ.) და ოთარ ერანოსიანმა (60 კგ.) მოუტანეს, ბრინჯაოს სინჯის ჯილდო კი მიხეილ ბახტიძეს (+91 კგ) ერგო.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მებრძოლმა ერანოსიანმა ფინალში ირლანდიელი დევიდ ოლივერის წინააღმდეგ იასპარეზა და მიუხედავად იმისა, რომ პირველი რაუნდის შემდეგ მეტოქეს ჯობნიდა, საბოლოოდ, სამივე მსაჯის ვერსიით, მინიმალური სხვაობით დამარცხდა. ახალქალაქელმა მოკრივემ ფინალამდე სლოვაკ, ბულგარელ და იტალიელ მეტოქეებს აჯობა.

რაც შეეხება გულედანს, მან ფინალური დაპირისპირება ქულებით (1:2) პოლონელ იგორ იაკუბოვსკისთან წააგო. ფინალამდე ქართველმა მოკრივემ ფინელ ტომი ჰონკას, სლოვაკ ერიკ ტლკანეცს და ლიტველ ტადას ტამასაუსკასს სძლია.

საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ნაკრების აქტივში კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალია, რომელიც მიხეილ ბახტიძეს ერგო. ქუთაისელმა სპორტსმენმა გამოსვლა მეოთხედფინალიდან დაიწყო, სადაც ხორვატი მოწინააღმდეგე დაამარცხა, შემდეგ კი ფინალის საგზურისთვის ბრძოლაში იტალიელ მეტოქესთან წააგო და შეჯიბრება მესამე ადგილზე დაასრულა.

გეჭან დოლიძე

◎ ჩოგბურთი

პირველად ცინცინატიში

ძალთა **რეიტინგსიის ლიდერმა სერენა უილიამსმა ცინცინატის ტურნირზე პირველად მოახერხა გამარჯვების მოპოვება. შარშან უილიამს-უმცროსი ფინალში დამარცხდა, წლეულს კი ოჰაიოს შტატის შეჯიბრების გადამწყვეტი მატჩი სერბ ანა ივანოვიჩს 6:4, 6:1 მოუგო და 900 სარეიტინგო ქულასთან ერთად 467300 დოლარიც მოიხვეჭა.**

სერენასა და ანას ფინალი საათსა და 2 წუთს გაგრძელდა. უილიამსის აქტივში 12 ეისი და 4 ბრეიკია. უილიამს-უმცროსისა და ივანოვიჩის ურთიერთშეხვედრების ანგარიში 7:1 გახდა ამერიკელის სასარგებლოდ. სადიდსლემო ტურნირების 17-გზის ტრიუმფატორმა სერენამ კარიერის განმავლობაში 62-ე შეჯიბრებაზე იმარჯვა, წლეულს კი მეხუთე ტურნირი მოიგო.

როჯერის მე-80 ტრიუმფი

როჯერ ფედერერმა ორწლიანი პაუზის შემდეგ „მასტერზ 1000“-ის ტურნირის მოგება მოახერხა. აშშ-ის ოჰაიოს შტატის ცინცინატის Western & Southern Open-ის შეჯიბრების გადამწყვეტ მატჩში 33 წლის შვეიცარიელმა ერთი წლით უმცროს ესპანელ დავიდ ფერერს 6:3, 1:6, 6:2 სძლია და საჩოგბურთო კარიერის განმავლობაში 22-ე „მასტერზ 1000“-ზე იმარჯვა.

ცინცინატის ფინალი საათსა და 42 წუთს გაგრძელდა. ფედერერის ანგარიშზე 3 ბრეიკი და 6 ეისია. როჯერმა დავიდთან ურთიერთშეხვედრების ანგარიში 16:0 გახადა, ოჰაიოში მოპოვებული წარმატების შედეგად კი ათას სარეიტინგო ქულასა და 638850 დოლარს მიიღებს. ამასთან, ფედერერმა თავის საიუბილეო, 80-ე ტურნირზე იმარჯვა.

25 აგვისტოდან ამერიკის ღია პირველობა აიღებს სტარტს. ამ ტურნირს ფედერერი გამოეხმაურა და განაცხადა, მოუთმენლად ველი რაფა ნადალის გადაწყვეტილებას, მიიღებს თუ არა მონაწილეობას წლის ბოლო სადიდსლემო ტურნირზეო.

კოგა კოგახიძე

რამდენ ხანს გაგრძელდება „საყაიმო“ მდგომარეობა?

სამომხმარებლო ტარიფი

კომუნალური გადასახადებიდან „უმთავრესი“ ელექტროენერგიის გადასახადი რომაა, ეს, თუნდაც, ყოველთვიურად მიღებული ქვითრებიდანაც ჩანს. ამდენად, მისი ტარიფის გაანგარიშების ახალი მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესის დასრულებას ხალხი დიდი ინტერესით და, რა დასამალია, გარკვეული იმედით ელოდა – ვინ იცის, იქნებ გვეშველოს და „ელექტროგველეშაპის ხარკი“ შეგვიმცირდესო... თუ რა იქნება ახლო, ანდა შორეულ პერსპექტივაში, ამის თაობაზე დაბეჯითებით რაიმეს თქმა დღესდღეობით ძნელია, თუმცა, ერთი კია: ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკმა) მოხმარებულ ელექტროენერგიაზე ტარიფის დადგენის ახალი მეთოდოლოგია უკვე დაამტკიცა. დოკუმენტის მიხედვით, ახლებურად დადგინდება ელექტროენერგიის განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფი.

ახალი მეთოდოლოგიის შემოღებასთან დაკავშირებით სემეკის განცხადებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ მუშაობა ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და შედეგი სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ცვლილებების ერთი ნაწილი ელექტროენერგიის განაწილებას, მეორე კი გენერაციას, გადაცემას, დისპეტჩერიზაციასა და ბაზარზე ოპერირებას შეეხო.

– ახალი ტარიფების დადგენისას სემეკმა საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ეგრეთ წოდებული **„დანახარჯი +“** და **„წამახალისებელი რეგულირების“** პრინციპებით იხელმძღვანელა. პირველი **„ელექტროკომპანიის გონივრული და მიზანშეწონილი დანახარჯის ანაზღაურებასა და სამართლიანი მოგების მიღებას ითვალისწინებს, ხოლო მეორე, გრძელვადიანი რეგულირებისას, საწარმოსთვის ამ პერიოდის დასაწყისიდან დასასრულამდე დანახარჯის სამიზნე მაჩვენებლის შემცირებას გულისხმობს,“** – აცხადებს სემეკის თავმჯდომარე ირინა მილორავა. მისივე თქმით, ელექტროენერგიაზე სამომხმარებლო ტარიფი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება, რომელთაგან მთავარია კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯი. ელექტროენერგიის განაწილების ტარიფების გაანგარიშებისას ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია გამანაწილებელ ქსელში ნორმალური დანაკარგის ღირებულება. კომისია სამიზნე მაჩვენებელს ადგენს, რის საფუძველზე დანაკარგების ღირებულებას განსაზღვრავს. თუმცა, მოსახლეობისთვის მაინც უფრო მეტად საინტერესოა **მოხმარების** ტარიფი, რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება. ესენია, **ელექტროენერგიის შეწონილი ფასი** (იგი განაწილების ლიცენზიატის მიერ სხვადასხვა ელექტროსადგურებისგან და იმპორტიორისგან შესყიდული ელექტროენერგიის მთლიან ღირებულებას მოიცავს), **გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის მომსახურების ღირებულებას** (რომელიც მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ღირებულებას მოიცავს) და **საკუთრივ გამანაწილებელი ქსელით ელექტროენერგიის მომხმარებელზე განაწილების ღირებულებას.** სამომხმარებლო ტარიფიც სწორედ ამ კომპონენტების ღირებულების დაჯამებით დგინდება, ამდენად, როცა ტარიფი გადაიხედება ხოლმე, თითოეული



გამანაწილებელი კომპანიის ხარჯის აუდიტი ყველა კომპონენტის მიხედვით ტარდება.

რაც შეეხება ელექტროენერგიის საყოფაცხოვრებო ქსელში განაწილების კომპონენტის დიდ წილს, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, მის ოდენობაზე აისახება, ქალბატონი მილორავა აღნიშნავს, რომ **დაბალი ძაბვის ქსელში, რომლებიც უშუალოდ მომხმარებელს ემსახურება, გაცილებით მეტი აბონენტია ჩართული და, ამიტომ იგი, შესაბამისად, ბევრად უფრო რთული სტრუქტურაა. გარდა ამისა, დაბალი ძაბვის ქსელს ელექტროენერგიის უფრო მეტი დანაკარგი აქვს, რაც გარკვეული ფიზიკური გართულებებითაა განპირობებული, ეს კი, ბუნებრივია, ხარჯს ზრდის და, შესაბამისად, ტარიფებზეც აისახება.**

ბუნებრივია, რომ ელექტროენერგიის ტარიფით მოსახლეობა სისხლხორცეულადაა დაინტერესებული, ამდენად, საკმაოდ მნიშვნელოვანია სემეკის ხელმძღვანელთა განცხადებები კომპანია სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის ნიკოლაი ნიკოლოვის მოთხოვნის პასუხად – ტარიფი ნახევარი, ან ერთი თეთრით უნდა გაიზარდოსო, ისინი აღნიშნავენ, რომ **„ტარიფის გაზრდის ან შემცირების თაობაზე პროგნოზის გაკეთება უსაფუძვლოა“. სემეკის წევრის გოჩა შონიას თქმით, „ეს ცალსახად იმ ფინანსურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, რომელიც ელექტროკომპანიებს აქვთ“,** ხოლო კომისიის თავმჯდომარე ირინა მილორავა აღნიშნავს, რომ „ენერგო-პრო ჯორჯიას“ სატარიფო განცხადებას, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესის შესაბამისად, ამჟამად მიმდინარეობს. **„კომპანიის მიერ სატარიფო განაცხადის შემოტანა და ტარიფის მომატების მოთხოვნა კომისიის მიერ ერთმნიშნელოვნად ტარიფის მომატებას არ ნიშნავს. ეს ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია“,** – აცხადებს ქალბატონი მილორავა.

ელექტროენერგიაზე ტარიფის მოსალოდნელი ზრდა, ბუნებრივია, მასმედიაში საკმაოდ აჟიტირებული თემა იყო ბოლო პერიოდში, მაგრამ ვნებათაღელვა ერთგვარად ჩაცხრა მას შემდგე, რაც ივლისის მიწურულს, როცა სემეკის, ენერგეტიკის სამინისტროსა და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ წარმომადგენელთა ერთობლივი თავყრილობა გაიმართა, რომლის შემდეგ ჯერ ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ, შემდგომ კი პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ტარიფის მომატება უარყვეს, ხოლო პრემიერმა კი თემის აჟიტირებას სულაც პროვოკაცია უწოდა.

ამასთან, ზოგიერთი სკეპტიკურად განწყობილი ექსპერტი აცხადებს, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ თავის დროზე არამართებულად დიდი ტარიფი დაუდგინეს, მას ასევე მრავალი ნაკისრი საინვესტიციო ვალდებულება დღესაც შეუსრულებელი აქვს, თანაც ამ მაღალი ტარიფის წყალობით მოსახლეობიდან იმაზე ათჯერ მეტი აქვს ამოღებული. ამის მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ 2012 წლის შემდეგ ორივე სახელმწიფო სტრუქტურაში, არსებითად, ხელმძღვანელების გარდა, ისევ ძველი კადრები მუშაობენ, რომლებიც „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ჯერ კიდევ ნოღაიდელის პრემიერ-მინისტრობის დროს ლობირებდნენ. თუმცა კი ქალბატონი მილორავა ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ **„კომისია დამოუკიდებელი ინსტიტუტია და ტარიფთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე მხოლოდ ისაა პასუხისმგებელი – ეს ეხება როგორც მის გაანგარიშებას, ასევე მიღებულ შედეგს“.**

ასეა თუ ისე, ეს საკითხი დღის წესრიგიდან ჯერჯერობით მოხსნილია, მაგრამ ყველას გვაინტერესებს, რამდენ ხანს გაგრძელდება წამგებიანი „საყაიმო მდგომარეობა“?

ოთარ ტურაბელიძე

ინფორმაცია

გვალვა კახეთში

კახეთში, ყველა მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობას, სპეცტექნიკის მეშვეობით, სასმელი წყლით ამარაგებს.

პროცესი ყველაზე რთული უბნებიდან დაიწყო, სადაც თვეების განმავლობაში სასმელი წყალი არ მიეწოდებოდათ. მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად გუბერნატორმა თავდაცვის სამინისტროსგან სპეცტექნიკაც გამოითხოვა. ოთხი ერთეული წყალმზიდი საგარეჯოში, თელავში და გურჯაანში კვირას ჩავიდა. რვავე მუნიციპალიტეტში შექმნილია სპეციალური შტაბები, ამოქმედდა „ცხელი ხაზი“, რომელიც 24 საათის განმავლობაში იმუშავებს, სადაც მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა დარეკონ და დახმარება მოითხოვონ.

ბოლო თვეების განმავლობაში, ძლიერი გვალვის გამო, კახეთში წყლის მიწოდების პრობლემა შეიქმნა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გრაფიკის მეშვეობით არსებული წყლის რესურსი გაანაწილა, ხოლო დასახლებებს წყალს დამატებით სპეცტექნიკის საშუალებითაც მიაწვდიან.

უნამუსოები

მართლაც, ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესი!

უნდა ვთქვა, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მუდმივი მკითხველი ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ იგი ყოველგვარი მიკერძოების გარეშე ასახავს ქვეყნისა და ხალხის ნააზრევს და სწორი პოზიციაც აქვს, რითაც განსხვავდება სხვა გამოცემებისგან.

გაზეთს დიდი ილიას ციტატა ამშვენებს: „იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, „ტყუილებითა და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია“.

ნამდვილად არამზადობაა არამზადებთან ჩაბრძანება, მათგან ინტერვიუს აღება და შემდგომ ხალხის მორიგი დაბოლება, ამიტომაც ვეთანხმები გაზეთის პათოსს, ნ აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ მასალას „არამზადებს არამზადები იცავენ“.

თავის დროზე ცნობილი ამერიკელი ტელეწამყვანი ლარიბორდი გადააყენეს და შენ რითი ვერ მოხარშე და შეიგნე, რომ საზოგადოებრივ არხზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მეუღლე პირდაპირი მხარე იყავი იმ უზნეობისა და სისაძაგლისა, რასაც ხალხმა ბოლო ორი არჩევნებია, უარი განუცხადა.

თქვენ კი, ნაციონალებო და თქვენი ჯიბის ტელევიზიებ-ჟურნალისტებო, იმდენი შეგნებაც არა გაქვთ, რომ ახლა მაინც შეეშვათ ტყუილებისა და აღვირახსნილობის ტირაჟირებას!

ეს მართლაც, ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია!

მალხაზ დოლიძე,
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველი.

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის მონაწილე ვეტერანი, საქართველოს სამხატვრო აკადემიის პროფესორი, სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი

ედმონდ კალანდაძე

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

კრიმინალი

ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით „სუბუტექსი“

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს, მეორე სამმართველოს და ამავე დეპარტამენტის აჭარის ა/რ სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1958 წელს დაბადებული რობერტ შ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 3 აბი და აბის ნატეხი, ხოლო მისი საცხოვრებელი ბინიდან 88 აბი და აბის ნატეხი „სუბუტექსი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,7322 ბუპრენორფინს შეიცავს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ინტერპრესი

იურიდიული კონსულტაცია

რუბრიკას უძღვება საქართველოს რესპუბლიკის იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი. ტელ: 595 05 11 77; 593 35 99 09.

კითხვა: ვარ საქართველოს ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირის მეუღლე. გთხოვთ, განმიმარტოთ, რომელი კანონით დაენიშნება ჩემს მცირეწლოვან შვილს პენსია მამის გარდაცვალების გამო - „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ საქართველოს კანონით, თუ სხვა საკანონმდებლო აქტი მოქმედებს მსგავს შემთხვევაში?

ლეილა ინასარიძე

პასუხი: საქართველოს ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირის გარდაცვალების გამო, მცირეწლოვან შვილს ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია. მისი ოდენობა განისაზღვრება „საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონით.

* * *

კითხვა: წლების წინ დამენიშნა სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია. გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორი წესით იყო გათვალისწინებული აკადემიური სტიპენდიის ოდენობის განსაზღვრა სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთათვის?

ელენე შალიბაშვილი

პასუხი: მოქმედი კანონის თანახმად, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრებოდა საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივი სარგოს: 80%-ის ოდენობით – მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მქონე პირთათვის და უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის სამეცნიერო–პედაგოგიური წოდების მქონე პირთათვის; 60%-ის ოდენობით – მეცნიერებათა კანდიდატის მქონე პირთათვის და უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში დოცენტის სამეცნიერო–პედაგოგიური წოდების მქონე პირთათვის და 40%-ის ოდენობით – სამეცნიერო ხარისხის არმქონე პირთათვის.

* * *

კითხვა: მაინტერესებს, რა იგულისხმება ამჟამად მოქმედი კანონით ტერმინში – „სრული სახელმწიფო კმაყოფა“.

ბეჭარ დათუნაიშვილი

პასუხი: მსგავს შემთხვევებში იგულისხმება კვებით, თავშესაფრითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა ინსტიტუციაში მყოფი პირებისა, რომლებიც არიან სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში.

◎ საუფლო დღესასწაული

ფერისცვალება

უფლისა ღმერთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი



19 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ფერისცვალებას.

ფერისცვალება არის „იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, ამიტომ მართლმადიდებელმა ეკლესიამ ერთ-ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულად შერაცხა.

ცნობილია, რომ როდესაც იესო ქრისტეს ჯვარცმის დღე ახლოვდებოდა, იგი უნდა ვნებულიყო ადამიანთა ცოდვებისთვის.

იესო ქრისტემ იცოდა, რომ ბევრი ვერ გაუძლებდა ამას, ბევრი დაჰკარგავდა სასოებას და რწმენას, და იმედს საუკუნო ცხოვრებისას, ამიტომ ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ისინი რწმენით განემტკიცებინა, გაეძლიერებინა.

უფალმა თავის მოწაფეთაგან გამოარჩია პეტრე, იაკობი და იოანე. სწორედ მათთან ერთად ავიდა თაბორის მთაზე სალოცავად. ისმის კითხვა, რატომ წაიყვანა იესომ თაბორზე მხოლოდ 3 მოწაფე?! – პასუხი ასეთია: სამი მოწაფის გამორჩევით, უფალს იმის ჩვენება უნდოდა, რომ ფერისცვალება სამების ნებით მოხდა.

ფერისცვალებას იკურთხება ხილი. მართლმადიდებლები ფერისცვალებამდე ყურძენს არ იხმევენ.

აი, როგორ არის აღწერილი ფერისცვალების ეპიზოდი სახარებაში... ლოცვის დროს (თაბორზე) მაცხოვრის სახე განათდა, გაბრწყინდა, როგორც მზე, ხოლო ტანსაცმელი თეთრი გახდა, როგორც თოვლი და მას გამოეცხადნენ მოსე და ელია და აუწყეს მისი აღსასრულის შესახებ იერუსალიმში. თავიდან მოწაფეები რულმა მოიცვა და როდესაც გამოფხიზლდნენ, დაინახეს უფლის დიდება და ზეციდან მოესმათ მამა-ღმერთის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, მაგისი ისმინეთ“.

ფერისცვალების დღესასწაული გრძელდება მომდევნო 7 დღეს.

გიული ლიპარტია

საქართველო ჭრაღიციული მედიცინის სამშობლოა

ისარგებლეთ საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ბუნებრივი წამლებით

„ფერდის“ და „სალხინოს“ კომპლექსური გამოყენება



კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია „ფერდის“ და „სალხინოს“ ერთობლივი გამოყენება ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩნიათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების მკურნალობაში.

პირველი 6-7 დღე ინიშნება „ფერდის“ და „სალხინოს“ კაფსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კაფსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში – 2 კაფსულა „ფერდი“ და 1 კაფსულა „სალხინო“ 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კაფსულა „ფერდი“ ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შვებას გრძნობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.

„ფერდი“ და „სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- **გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.**
- **გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

◎ ჩვენი კარაბადინი

დაბალია? საჭესთან არ შეიძლება!

სიმაღლე 150 სანტიმეტრზე დაბლა სურთ, შეიტანონ მანქანის ტარების სამედიცინო შეზღუდვის ჩამონათვალში. ასეთი დადგენილების პროექტს ამზადებენ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში.

შეზღუდვები შეეხება კატეგორიებს C, CD, D, DE, Tm 1f – ესაა სატვირთო ავტომანქანების, ავტობუსების, დამძიმებული პიკაპებისა და მისაბმელიანი ავტომობილების (750 კილოგრამზე მეტი), ტრამვაის, ტროლეიბუსების მართვა.

ტრანსპორტის მართვის ახალი სამედიცინო შეზღუდვები და საწინააღმდეგო მაჩვენებლები დაამუშავეს, რათა შეამცირონ სიკვდილიანობა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისგან.

ეგებებიან ტანსაცმლის მიხედვით?

ქალიშვილები, რომლებიც სოციალურ ქსელებში აქვეყნებენ აშკარა ფოტოს, გარშემომყოფებს ჰგონიათ უფრო ჩერჩეტები, ვიდრე თავმდაბლურად ჩაცმული ქალები, მიაჩნიათ, ფსიქოლოგებს ორეგონის უნივერსიტეტიდან.

გამოგონილი 20 წლის ამანდა ჯონსონი ორ ფოტოზე პროფილში ფეისბუკზე უჩვენებს, რომ უყვარს ლედი გაგა და საგა „მწუხრი“. მაგრამ მისი ფოტოგრაფიები პროფილში განსხვავდებიან: ერთ გვერდზე ის არის მოკლე წითელ კაბაში, მეორეზე – ჯინსსა და ქალის ბლუზში შარფთან ერთად.

გამოკვლევის მონაწილეებს – 13-25 წლის გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებს – უნდა ეთქვათ:

სიმპათიურები არიან თუ არა ეს ქალიშვილები;

შეეძლო თუ არა მას გამხდარიყო მათი დაქალი;

შეეძლო თუ არა მას შეესრულებინა სამუშაო დავალება.

სამივე პუნქტში, გარეგნული მიმზიდველობითაც კი, პროფილმა ნაკლებად გამომწვევი ფოტოგრაფიით მოაგროვა მეტი ქულა. „ამანდამ წითელ კაბაში“ განსაკუთრებით წააგო კომპეტენტურობის საკითხში: ამერიკელმა სტუდენტმა გოგონებმა გადაწყვიტეს, რომ სილამაზე და ჭკუა – შეუთავსებელია.

ინფორმაცია განსჯისათვის

ვინ უფრო ჭკვიანია – მამაკაცები თუ ქალები?

10 პროცენტი – მამაკაცები – სწორედ ისინი წევენ წინ მეცნიერებას.

20 პროცენტი – ქალები – მათ უწევთ გადაწყვიტონ ამოცნობის უფრო ფართო წრე: სამსახურშიც, ოჯახშიც.

58 პროცენტი – მათი ჭკუის შედარება არ შეიძლება.

2 პროცენტი – არ ვიცი, არ მიფიქრია.

გამოკითხვაში მონაწილეობა 672 კაცმა მიიღო.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— ეჰ, შევცდი გუშინ, არაყი და ლუდი რომ შევუერიე ერთმანეთს!

— რაო, თავი გტკივა?

— არა, უბრალოდ დღეს არც ლუდი მაქვს და არც არაყი.

* * *

— **რობერ** კეთდება გენიალური აღმოჩენები? — ჰკითხეს ერთხელ აინშტაინს.

— ძალიან უბრალოდ, — უპასუხა მან, — ყველა მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს არ შეიძლება მოხდეს. მაგრამ გამოჩნდება ერთი სულელი, ვინც ამას არ ეთანხმება და ამტკიცებს კიდეც რატომ.

* * *

— **მისმინე**, სიდედრო, — ეუბნება პეტკა სიდედრს, — მაღაზიაში ხომ ვერ გაიქცეოდი სიგარეტისთვის?

— ეჰ, შე თავხედო, შენ გინდა და შენვე წადი!

— კარგი, რას ბრაზობ, უბრალოდ ათას მანეთს მოგცემდი და ხურდაც შენი იქნებოდა!

სიდედრს წინადადება მოეწონა, გაიქცა და მოუტანა. ხურდა კი ჩაიჯიბა.

ცოტა ხანში სიძეს არაყი მოუნდა. იგივე ისტორია განმეორდა. ზის სიძე, სვამს არაყს, ეწევა სიგარეტს. მერე უცებ სიდედრს ეუბნება.

— სიდედრო, ერთი რომ შემოგილაწუნო, რა იქნება.

— შენ რა, საერთოდ გაგიჟდი?

— არა, კაცო, როგორ გავგიჟდი. უბრალოდ ხუთი ათასს მოგცემ ამისთვის.

იფიქრა სიდედრმა, იფიქრა და დათანხმდა.

სიძემაც ყველა წყენის სანაცვლოდ ისე შემოსცხო, სიდედრმა თვალებიდან სულ ნაპერწკლები ჰყარა.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. პეტკამ ყურმილი აიღო.

— საყვარელო, მიეცი დედაჩემს თავისი პენსია? — ეკითხება ცოლი.

— ჰო, ნაწილ-ნაწილ ვაძლევ.

* * *

დაშა მორჩილად ელოდა ჯარიდან თავისი შეყვარებულის დაბრუნებას. ანკი სხვა რა უნდა ექნა ციხეში.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქოჯულია
299-62-77;
599 36 00 35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 599 568186
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24